სპორტიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 22 ივლისი 2005 №165 (2488) ფასი 50 თეთრი

ფამაგუსტელი ქართველები პოლიტიკაში გაერევნენ

3



რობინიო რეალშია!

ბრაზილიელი 24 მილიონი ევრო დაჯდა

6

სტეფანია: კალათბურთამდე შორია

ვოვას ნაბრძანებში ოთამაში სურს

12

16! დღეს მე-17 დამტკიცდება

16 გუნდი უმაღლეს ლიგაში — ეს ძველი ამბავია, ახალი კი ჩემპიონატის კალენდარი იქნება, რომელსაც დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე დაამტკიცებენ. სხდომის მთავარი თემაც ესაა, თუმცა აღმასკომამდე პროფესიული ლიგის კონფერენცია გაიმართება. სხვა კი, თქვენც იცით — მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა 30 ივლისს დაიწყება.

ალექსი ფეფოლოვი

მოზი დიკი მონრეალში

AFP მონრეალიდან

მონრეალში წყალი დუღს. აუზში თუ გაშლილ წყალში მოცურავეთა, წყალში მხტომელთა, წყალბურთელთა და სინქრონულად მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ძალას იკრებს. ამასობაში დასრულდა სინქრონული ცურვის ოსტატთა ჯგუფური გამოსვლები, სადაც რუსები მთელი თავით მაღლა აღმოჩნდნენ მეტოქეებზე და ჩემპიონობაც მათვე იზეიმეს.

მე-14 გვერდი

დღევანდელი აღმასკომი მეჩვიდმეტეს თექვსმეტს დაუმტკიცებს



ნოდარ ახალკაცი თავისას ოფიციალურად დღეს გაიტანს

დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართება, რომელზეც მთავარი საკითხი მე-17 ეროვნული ჩემპიონატი, მისი ფორმატის და დებულების დამტკიცება იქნება.

ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი 11 ივნისს აირჩიეს, თუმც უკვე მანამდე იყო ცნობილი მისი იდეის შესახებ — 16 გუნდი უმაღლეს ლიგაში.

შეიძლება ითქვას, რომ მიზანი მიღწეულია და დღეს, ფაქტობრივად, ფორმალური მხარე გადაწყდება. დღესვე, აღმასკომის სხდომამდე, პროფესიული ლიგის კონფერენცია გაიმართება და სწორედ ამ ღონისძიებაზე მიღებულ დოკუმენტებს დაამტკიცებს ფედერაციის აღმასკომი.

მოკლედ, დღეს თექვსმეტგუნდიანი მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატი ოფიციალურად გაფორმდება.

ლუკა თალაკვაძე

ცხადაძემ ბრონდბიუ ილაპარაკა, ნოზაძემ — ტაქტიკა

ლაშა ნოზაძე — თბილისის „დინამოს“ საყრდენი ნახევარმცველი. მეტწილად სწორედ ლაშასა და მის მეწყვილე შოთა ბაბუნაშვილს უნდა განესაზღვრათ „დინამოს“ თამაში ტალინურ „ლევადიასთან“. რა და როგორ, ვისი გამარჯვებით დამთავრდა ეს დაპირისპირება, ალბათ ყველამ კარგად იცით.

დანარჩენს კი ლაშა ნოზაძე თავად ამბობს.

— ტალინური მატჩი „დინამომ“ აშკარად ჩააგდო. ჩვენ ინერტულები და, შეიძლება ითქვას, ზედმეტად თავდაჯერებულებიც ვიყავით, რაც არასასურველი ფსიქოლოგიური ფაქტორი იყო. მართალია, ესტონეთში წავაგეთ, მაგრამ მჯეროდა, რომ თბილისში „ლევადიას“ საკადრისად დავუხვდებოდით და შემდეგ ეტაპზეც ჩვენ გავიდოდით. თბილისური მატჩისას ცოტაც ვინერვიულეთ, მაგრამ ეგ არაფერი, თამაშის დაწყებისთანავე ქომაგის მხარდაჭერა ვიგრძენით, ჩვენი ძალისა ვირწმუნეთ და ნელ-ნელა მეტოქეც გავთიშეთ.

— „ლევადიასთან“ პირველი შეხვედრისას მე და შოთა ბაბუნაშვილმა ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც შეგვეძლო, ფეხბურთში ასე ხდება ხოლმე. თბილისური მატჩისას კი, ვფიქრობ, ნორმალურად ვითამაშეთ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ კმაყოფილები დავრჩით.

— „დინამოს“ მწვრთნელმა კახა ცხადაძემ თავისი საქმე იცის. მან რომ „ლევადიასთან“ თბილისური მატჩის მეორე ტაიმში ტაქტიკური სქემა შეცვალა და ნახევარდაცვა გააძლიერა, ამან შედეგიც განაპირობა, სწორი გადაწყვეტილება იყო. ათი ფეხბურთელით დავრჩით და მეტოქემ შუა ხაზში დაგვჯაბნა, მწვრთნელის შეცვლამაც არ დააყოვნა, მე და შოთა ბაბუნაშვილს კი მეტ-ნაკლებად საქმე შეგვიმცირდა და დაცვას უფრო ვეხმარებოდით.

— „ბრონდბიუ“, რა თქმა უნდა, სერიოზული მეტოქეა, მაგრამ „დინამოს“ მისი არ ეშინია. მეტოქის თამაშის ფირი ჯერ არ გვინახავს, თუმც კახა ცხადაძე უკვე გვესაუბრა „ბრონდბიუს“ შესაძლებლობებზე. ჩვენ დანიელებს არაფერს დავუთმობთ, ნაღდი ომი იქნება და ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს.

— „ლევადიასთან“ მატჩმა კი დაგვღალა, მაგრამ „ბრონდბიუმდე“ კიდევ ერთი კვირაა და ძალების აღდგენა არ გაგვიჭირდება. სადღეისოდ ყველაფერი კარგადაა.

კოტა ინასარიძე

ისაკაძე ახალკაცს: ბიზნესი შენია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად, მენეჯმენტ-მარკეტინგის საკითხებში, ბიზნესმენთა კავშირის პრეზიდენტი გიორგი ისაკაძე დაინიშნებაო, ამბობენ კულუარებში. ვისგან და რატომ ავორდა ასეთი ხმა, ვერ გეტყვით, ფაქტი კი ისაა, რაც თავად გიორგი ისაკაძემ გვითხრა:

— სიურპრიზები არ მთავრდება. ვის და რატომ აწყობს ასეთი ჭორის გავრცელება, ვერ გეტყვით... ნოდარ ახალკაცს წარმატებას ვუსურვებ.

— ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტობაზე შემოთავაზება საერთოდ არ მიგიღიათ?

— არ მიმიღია და ალბათ არც შემომთავაზებენ. გიორგი ისაკაძეს თავისი საქმე აქვს.

— რომ შემოგთავაზონ?

— ქართველ ბიზნესმენთა კავშირი პირადად ნოდარ ახალკაცს ყველანაირად დაეხმარება.

კოტა ინასარიძე

გახოკიძე გოლებს მიეჩვია, კალაძე ძირითადს

ქართველი ლეგიონერების გუშინდელი ამბები იტალიური, ტრიესტიდან დავიწყოთ, სადაც სამმა აპენინურმა გრანდმა — „მილანმა“, „ინტერმა“ და „იუვენტუსმა“ სამთა მინი-ტურნირში ითამაშეს. მატჩები ერთტაიმიანი იყო, კახა კალაძემ რობერტო მანჩინის „ინტერთან“ 45 წუთი იბურთავა, ხოლო მარჩელო ლიპის „იუვესთან“ 15 წუთით გამოჩნდა მინდორზე, როცა ბრაზილიელი სერჯინიო შეცვალა. კახას ბევრი არც გაუკეთებია, არც გაუფუჭებია — „მილანმა“ „ბებერ ქალბატონს“ 2:1 მოუგო, „ინტერთან“ კი 0:0 ითამაშა და პენალტებით წააგო, ტურნირი კი მეორე ადგილზე დაამთავრა. ისე, „როსონერის“ დაშავებული მალდინი და იანკულოვსკი არ ჰყავდა, თორემ საკითხავია რამდენს და როგორ ათამაშებდა კარლო ანჩელოტი კალაძეს.

ლევან კობიაშვილის „შალკე“ რეგიონალიგელ „შტუტგარტერ კიკერს“ ამხანაგურ მატჩში ამხანაგურადვე გაეყარა — 1:1. „კობიძ“ 76 წუთი იბურთავა და კლინგერით შეიცვალა. წინა მატჩებისგან განსხვავებით, ლევანი არცთუ აქტიური იყო.

ტრავმამოშუშებულმა ლადო ახალაიამ კი გოლის გემო გაიხსენა, მაგრამ ეს „ციურიხის“ ახალგაზრდულ გუნდში მოახერხა „ლუცერნთან“ თამაშში.

გოგა გახოკიძე კი ტესტ-მატჩს უგოლოდ არ ტოვებს. მისმა „ტვენტემ“ ჰოლანდიის მეორედივიზიონელ „აპელდორნს“ 3:1 მოუგო, ქართველმა ნახევარმცველმა პირველი ტაიმი თამაშა და 43-ე წუთზე შორეული დარტყმით 2:1 დაა წინაურა თავისიანები. შეგახსენებთ, გახოკიძემ „ტვენტეს“ წინა, 12:0 და 10:0 მოგებულ თამაშებშიც მიითვალა თავისი წილი.

ილია ნანოგაშვილი

ბრონდბიუმ რიტერი დაარეგისტრირა



თომას რიტერი

თბილისის „დინამოს“ საჩემპიონთალიგო მეტოქე „ბრონდბიუმ“ გუშინ ერთი ფეხბურთელი შეიმატა. მიქაელ ლაუდრუპის გუნდმა გერმანული „ვოლფსბურგიდან“ 500 ათას ევროდ თომას რიტერი შეიძინა. 31 წლის დანიელ მცველს 5 მატჩი ეროვნულ ნაკრებშიც ჩაუტარებია, „ბრონდბიუში“ კი 3 ნომრით ითამაშებს. სამაგიეროდ, რიტერის მოსვლას ალან ილესენი შეეწირა — ივი „ნორდსიელანდში“ გაუშვეს.

ამასობაში, „ბრონდბიუმ“ დანიის სუპერლიგა ომახიანად დაიწყო — „ბრონდბი სტადიუმზე“ 15 000 მაყურებლის თვალწინ ქვეყნის მესამეადგილოსან „მიდტიულანდს“ 3:0 მოუგო. პირველივე ტაიმში ფორვარდმა მორტენ სკუბომ ორი გოლი გაიტანა (11,40), მესამე ბურთი კი მცველმა პერ ნილსენმა 71-ე წუთზე შეაგდო.

ლაუდრუპმა „მიდტიულანდთან“ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *ანკერგრენი, იოჰანსენი, ნილსენი, აგერი, სენელსი, მადს იორგენსენი (კამპერი 59), ლანცი, რეტოვი, ლორენტსენი (კრისტენსენი 72), სკუბო (სკარბალიუსი 79), ელმანდერი.*

ილია ნანოგაშვილი

შვედეთი

ალსვენსკა XV ტური

ჰეკენი 1:0 ვალმიო

სუპერეტა XVI ტური

დეგერფორსი 0:1 აიკ

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. გადადებული მატჩები

ინტერი 1:4 მიუპა

როვანიემი 1:3 ალიანსი

PEACE CUP 2005

A ჯგუფი III ტური

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 3:1 მამელოდი სანდაუნსი (სამხრეთ აფრიკა)

სოსიედადი (ესპანეთი) 1:1 ტოტენჰემი (ინგლისი)

ამხანაგური მატჩები

სტანდარდი (ბელგია) 0:0 ფენერბაჰჩე (თურქეთი)

სელტიკი (შოტლანდია) 2:2 სპორტინგი (პორტუგალია)

ფამაგუსტელი ქართველები პოლიტიკაში გაერკვნენ

თემურ ქეცბაიას, გიორგი ქინქლაძისა და კლიმენტი წიტაიშვილის „ანართოსისი“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა და ახლა ფამაგუსტელ ქართველებს პოლიტიკური მნიშვნელობის მატჩი ელით თურქულ „ტრაბზონსფორთან“ — ანართოსისელთა ხერხემალს, მწვრთნელსა და მოთამაშეს ქეცბაიას მიაჩნია, რომ ეს შესაძლოა, ძალიან წაადგეს მის გუნდს ან პირიქით



ქართველები ბელარუსებთან: თემურ ქეცბაიამ და კლიმენტი წიტაიშვილმა მინსკის „დინამო“ შმაგ ბრძოლაში დაჯაბნეს

პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე კვიპროსის ჩემპიონმა მინსკის „დინამო“ გააკრა ბეჭებზე — სტუმრად 1:1 ითამაშა, ხოლო შინ გუშინწინ 1:0 მოუგო. მატჩი ფამაგუსტის ნაცვლად ნიქოზიაში გაიმართა, რადგან „ანართოსისის“ სტადიონი სარეკონსტრუქციოა.

„ძალიან საინტერესო თამაში იყო, ჩვენთვის ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაშის ხარისხით კი მაინცდამაინც არა“ — გვითხრა ქეცბაიამ.

აქტიურად ჩაატარა მატჩი კლიმენტი წიტაიშვილმა, მას საგოლე შანსიც ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. „წიტაიშვილი მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო. მინსკელთა მეკარემ მას მაგარი „მაკრატელა“ აუღო, ერთხელ ჩემი დარტყმულიც მოიგერია, თუმც უკეთესი მომენტი წიტაიშვილს ჰქონდა“ — მოგვახსენა „ანართოსისის“ მოთამაშე-მწვრთნელმა, რომელმაც ისიც გვითხრა, რომ ბელარუსებთან მატჩში ის თითქმის მარცხენა გარემარბი იყო, ხოლო წიტაიშვილი ჯერ ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა, მერე კი მარჯვნივ გადასწია.

გიორგი ქინქლაძემ მინსკის „დინამოსთან“ ნიქოზიურ შეხვედრაში ოდენ ერთი ტაიმი ითამაშა და ქეცბაიას ამის მიზეზიც მოვაყოლეთ: „პირველი ტაიმის შემდეგ გიო შეუძლოდ იყო, გულისრევის შეგრძნება ჰქონდა და ამიტომაც შევცვალეთ“.

ქეცბაიამ გვითხრა, რომ „ანართოსისმა“ კიდევ ერთი გოლი გაიტანა, რომელიც მსაჯმა არ ჩათვალა, მაგრამ ვიდეოჩანაწერზე გამოჩნდა, რომ ნაღდი გოლი იყო. მინსკელებთან მატჩს ნიქოზიაში ათი ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო, მაგრამ სამშაბათს, 26 ივლისს ალბათ გაცილებით მეტი ქომაგი გაამხნევებს ფამაგუსტელებს, რადგან მეტოქე თურქული გუნდია.

მოგეხსენებათ, კუნძულ კვიპროსზე მეტწილად ეთნიკური ბერძნები და თურქები ცხოვრობენ. კუნძულის თურქებით დასახლებული ნაწილი კი ქვეყნის ხელისუფლებას არ ემორჩილება, დაახლოებით აფხაზეთის თუ ცხინვალის სტატუსი აქვს.

„პოლიტიკური ფაქტორი „ტრაბზონსფორთან“ მატჩში ჩვენზე ან დადებითად იმოქმედებს ან უარყოფითად. ისიცაა, რომ კვიპროსის ჩემპიონატი აგვისტოს ბოლოს იწყება და ამ დროისთვის გუნდი საუკეთესო ფორმაში ვერ იქნება, მაგრამ მინსკის „დინამოსთან“ მატჩების შემდეგ ახლა უკეთეს კონდიციაში ვართ. „ტრაბზონსფორთან“ პირველი თამაში შინ გვაქვს და ისეთ შედეგს უნდა მივაღწიოთ, რომ საპასუხო მატჩის წინ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი გვქონდეს, თურქეთში უძნელესი მატჩი გველის“ — განგვიმარტა ქეცბაიამ

დავით თავართქილაძე

საფირმო ყუმბარებით მუტურმაპი

უფრო კარგ ფორმაშიც ვყოფილვარ და ნაკრებს მაშინ არ გავხსენებივარ

გრაცის „შტურმს“ დღეს აშკარა ლიდერი ჰყავს — დავით მუჯირი. არადა, 27 წლის ქართველს გასულ სეზონში ფეხბურთი დანატრებული ჰქონდა, საზარდულის ტრავმა ანთებაში გადაეზარდა, რის გამოც ზამთრიდან მოყოლებული, ივნისის ბოლომდე არ უთამაშია. ახალგამოჯანმრთელებულ ფეხბურთელს ერთი თვე მაინც სჭირდება ფორმის აღსადგენად, მაგრამ „მუმუს“ მინდორზე გასვლა და გოლების შეყრა ერთი იყო

მუჯირმა ინტერტოტოზეც იყოჩაღა გერმანულ „ვოლფსბურგთან“, ავსტრიული მაქსბუნდესლიგის სეზონი კი მართლაც რომ რიხით დაიწყო: მისი „შტურმი“ ვენის „აუსტრიასთან“ ერთად პირველ-მეორე ადგილებზეა ორ ტურში მოგროვილი ექვსი ქულით. ჩვენიანმა კი უკვე სამი გოლის გატანა მოასწრო, მათ შორის, გუშინწინ „ადმირა“ დუბლით „ასიამოვნა“. დათოსთან საუბარიც სწორედ ამ მატჩით დავიწყეთ...

— ძნელი თამაში გვქონდა, მაგრამ პირველივე ტაიმში ორჯერ გავიტანე და თითქოს იოლად უნდა მოგვეგო, თუმც „ადმირამ“ მეორე ნახევარში ერთი გოლი შეგვიგდო და ბოლოს საკმაოდ გვანერვიულა. ჩვენმა მეკარემაც სასწაული ბურთი აიღო. მწვრთნელმა ბოლო 20 წუთი დამასვენა, რადგან 23 ივლისს ისევ თამაში გვაქვს, შინ „ტიროლს“ ვხვდებით.

— გოლები როგორ გაიტანე?

— ორჯერვე შორიდან, 20-22 მეტრიდან დავარტყი. პირველად მე თვითონ გავისწორე ბურთი, მეორე კი უფრო ლამაზი გამოვიდა — კუთხურიდან ჩამოწოდებული მიწაზე დაუშვებლად გავაგზავნე კარში.

— მოკლედ, ჩვეულ სტილში გაგაქვს ბურთები. პირველ ტურში „რაპიდსაც“ ასეთი გაუტანე?

— კი, ოღონდ შედარებით ახლოდან, საჯარიმოს ხაზიდან. ისიც ლამაზი გოლი იყო.

— მწვრთნელი მიხაელ პეტროვიჩი რა პოზიციაზე გათამაშებს?

— ორი თავდამსხმელით ვთამაშობთ და მე უკანდახეული, ასე ვთქვათ, მეორე ფორვარდი ვარ. ამ პოზიციაზე თავს მშვენივრად ვგრძნობ. გულშემატკივრებიც მუდამ მხარში მიდგანან.

— ტურის საუკეთესო ფეხბურთელად ხომ არ დაგასახელეს?

— არ ვიცი. ისე, მაღალი შეფასება კი მექნება. მაქსბუნდესლიგის ორიგინ თამაში მაღალ დონეზე ჩავატარე, ყველა კმაყოფილია ჩემით.

— ტრავმა საბოლოოდ მოიშუშე?

— რომ ვთქვა, საერთოდ აღარ მაწუხებს-მეთქი, ტყუილი გამომივა. ტკივილს არ ვუჩივი, მაგრამ თითქოს ბოლომდე გალაღებული ვერა ვარ, დაღლილობის შეგრძნება მაქვს ხოლმე. მწვრთნელებიც მეტისმეტად არ მტვირთავენ, მაგალითად, ჩემპიონატის დაწყების წინ ერთ ტესტ-თამაშში დამასვენეს ეს აჩაფერია, ნელ-ნელა უფრო შევალ ფორმაში.

— პირველ ტურში ჩემპიონ ვენის „რაპიდს“ სტუმრად მოუგეთ და ჯერჯერობით ქულა არ დაგიკარგავთ, თუმც დაახლოებით ერთი თვის წინ გვითხარი, „შტურმი“ საშუალო დონის ავსტრიული გუნდია და ჩვენი სამეულში შესვლაც კი სენსაცია იქნებაო. ახლაც ასე ფიქრობ?

— არა, ახლა სხვანაირადაა საქმე. ამ ორმა მატჩმა დაგვანახვა, რომ მეტიც შეგვიძლია. შესაბამისად, მიზნებიც შეიცვალა და ვნახოთ. „შტურმი“ ისეთი გუნდია, შეიძლება, ჩემპიონი გახდეს, შეიძლება, მეცხრე ადგილზეც გავიდეს. აქ ძალიან დაძაბული მატჩებია და ვინ ვის მოუგებს, წინასწარ არ იცი. კონკრეტულ მიზნებზე ლაპარაკი რა საჭიროა, მთავარია, მინდორზე რას გააკეთებ. ახლა „ტიროლსაც“ თუ მოვუგეთ, თავდაჯერება უფრო შეგვემატება, სამ თამაშში 9 ქულა უკვე ბევრს ნიშნავს...

— დიდი შანსია, საქართველოს ნაკრებში ისევ გამოგიძახონ...

— ახლა ჩემთვის უმთავრესია, ჯანმრთელად ვიყო. თუ გამომიძახებენ, სიამოვნებით ჩამოვალ, მაგრამ ამაზე კარგ ფორმაშიც ვყოფილვარ და მაშინ არ მიწვევდნენ ნაკრებში.

ილია ნანოგაშვილი

კინოვარსკვლავი და უცნაური ოსტატი

არ ვიცი, რა დოზანაა, მაგრამ როცა ამ ბოლო წლებში თბილისის „დინამო“ ევროსარბიელს იწყებს, ყოველთვის ის თაობა მახსენდება, 90-იანი წლების დასაწყისში რომ ეზიდებოდა დინამოურ ტვირთს. აბა, წარმოიდგინეთ, გოჩა ჯამარაული, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე, მიხეილ ყავლაშვილი და გიორგი ნემსაძე რა დღეს დააყრიდნენ ტალინის „ლევადიას“... იმედისმომცემი ფეხბურთელები ახლანდელ „დინამოშიც“ არიან, მაგრამ ისეთი მკაფიო ტალანტები, როგორიც, ვთქვათ, ჯამარაული იყო, არა და არ ჩანან...

ბადრი ძმელაძის ფოტო

გოჩა ჯამარაული

23.07.1971

1989-90	დინამო	19	0
1990-91	დინამო	12	0
1991-92	დინამო	20	2
1992-93	დინამო	18	1
1993-94	დინამო	25	13
1994-95	დინამო	20	16
1995-96	დინამო	7	3
1996	დინამო	7	3
1996-97	ალანია	9	0
1997-98	ტრაბზონსფორი	10	0
1998-99	ტრაბზონსფორი	17	3
1998-99	ციურიხი	11	1
1999-00	ციურიხი	22	4
2000-01	ციურიხი	33	9
2001-02	ციურიხი	19	1
2002-03	ლუცერნი	17	1
2002-03	მეტალურგი	22	4
2003-04	მეტალურგი	29	1
2004-05	მეტალურგი	8	0
2005	დინამო	8	1

ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 62 მატჩი, გაიტანა 6 გოლი

წლეულს, 10 აპრილს ეროვნული ჩემპიონატის 27-ე ტურში „დინამო“ „ბათუმს“ ესტუმრა და 2:1 მოუგო — ეს ბოლო მატჩი გამოდგა ჯამარაულისთვის, რომელსაც ხვალ 34 წელი შეუსრულდება.

ჩვენში აღარ არსებობს გამოსათხოვარი მატჩების გამართვის ტრადიცია, დავით ყიფიანიც კი უამისოდ წავიდა ფეხბურთიდან და, ცხადია, ჯამარაულზე აღარავინ დაფიქრდება, საჭიროა თუ არა მისთვის გამოსათხოვარი მატჩის მოწყობა, უბრალოდ, ფირის მონტაჟი კეთდება — ის ფეხბურთს თამაშობდა, ახლა აღარ.

მონტაჟის მიღმა კი ბევრი რამ იმალება. რატომ ვერ გაიხსნა ჯამარაული ბოლომდე? რა აკლდა მას?

ამას წინათ ალექსანდრე იაშვილზე ვთქვით, ის KEY PLAYER-ად, საკვანძო მოთამაშედ ჩამოყალიბდა „ფრაიბურგშიო“. ჯამარაულმა კი თავისი საუკეთესო მატჩები ალბათ „დინამოში“ ითამაშა, როცა საქართველოში საშინელი დროება იდგა, ხოლო „დინამოში“ საშუალო ხელფასი 500 დოლარი იყო — ამ თანხაზე ახლა საქართველოში ბევრი ისე ფეხბურთელობს, ბურთს ხეირიანად რომ ვერ უქნევს ფეხს.

ჯამარაული, ვინც გარეგნობით ფეხბურთელზე უფრო ჰოლივუდურ კინოვარსკვლავს წაგავს, ბურთს ლამაზად ათვინიერებდა, ფეხებშუა უტარებდა მეტოქეს, სოლო რეიდებს ახერხებდა, ერთი პასით მთელ დაცვას სახტად ტოვებდა, შორიდან სხიპავდა კარში ბურთებს, მაგრამ კარგ ევროპულ გუნდში ვერაფრით ვერ ხვდებოდა.

თუ საერთაშორისო საწიერზე მიდგა საქმე, ბევრ უცხოელ სპეციალისტს და ჟურნალისტს უთქვამს ჯამარაულზე, რომ ის არის SKILLFULL. ამ განმარტებას ვერ მოიშველიებენ როი კინზე, პატრიკ ვიეირაზე, ჯენარო გატუზოზე... ჯამარაული ოსტატი იყო, ის ოსტატობის ხარჯზე თამაშობდა და არა ჯანის, ჯმუხობის თუ ძვალთამტვრევის.

გოჩას დინამოური კარიერიდან გამორჩეული 1996 წელი იყო — უეფას თასზე „დინამომ“ ოთხი ეტაპი ითამაშა, ოცდამეთორმეტედფინალში კი მოსკოვის „ტორპედოს“ გადაეყარა — ღირსების და პოლიტიკური მნიშვნელობის შეხლა გახლდათ. პირველი მატჩი მოსკოვში გაიმართა და „დინამომ“ ჯამარაულის საჯარიმო დარტყმით 1:0 მოიგო. ორი კვირის შემდეგ თბილისში ისევ ჯამარაულმა იმარჯვა, შორეული დარტყმით მოსკოველთა კარის ცხრიანში ააფართხალა ბურთი, „ტორპედომ“ გაათანაბრა, თუმც მეტი ვეღარაფერი შეძლო. მეთექვსმეტედფინალში ჯამარაულის და კახა გოგიჩაიშვილის ჩაუქობით „დინამომ“ შინ „ბოავიშტას“ 1:0 მოუგო, მაგრამ პორტუგალიაში 0:5 წაგო — 25 წლის ჯამარაულს „დინამოში“ აღარ დაედგომებოდა, ის ვლადიკავკაზში წავიდა, სადაც ქართველ ფეხბურთელებს უკვე ძალიან დიდი რეკლამა ჰქონდათ და...

აქედან უკვე პასუხგაუცემელი კითხვები იწყება. „ალანიადან“ გოჩა მალე წამოვიდა, ოსთა თავკაცი ვალერი გაზაევი ამბობდა, ჯამარაული მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენს გუნდს ვერ ესადაგებაო. ოსეთიდან გოჩა ოსმალეთში გადაბარგდა, იქაც კარგი რეკლამა ჰქონდათ ქართველ ფეხბურთელებს, მაგრამ ვერც „ტრაბზონსფორში“ წარმოაჩინა ჯამარაულმა თავი ისე, როგორც მისგან ელოდნენ.

მერე შუაგული ევროპა, შვეიცარია, საიდანაც ძალიან ახლოა გერმანია და ბუნდესლიგა, თუმც იქ გატარებულმა ხუთმა სეზონმა ჯამარაული უკრაინაში, დონეცკის „მეტალურგში“ მოახვედრა გიორგი დემეტრაძესთან. ისე, არც შვეიცარიაში იყო მარტოსული ქართველი — გოჩა „ლუცერნში“ მიხეილ ყაველაშვილთან ერთად თამაშობდა.

...ეროვნულ ნაკრებში არაერთი დასამახსოვრებელი მატჩი ჩაუტარებია ჯამარაულს, ბევრი ლამაზი ილეთი და ეპიზოდი უჩუქნია ქომაგისთვის, ალენ ჟირესიც სულ იმის ცდაში იყო, გოჩას გამოცდილება და კლასი მაქსიმალურად გამოეყენებინა, მაგრამ ნაკრებშიც თითქოს სულ რაღაც აკლდა „ჯამარას“, მისი ნიჭი ვერც აქ წარმოჩინდა ბოლომდე.

დამდეგი სეზონი ჯამარაულს „ანართოსისში“ უნდა დაეწყო, თუმც გუნდი ზედ სეზონის დაწყების წინ, მინსკის „დინამოსთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო მატჩამდე მიატოვა, რითაც გუნდის მოთამაშე-მწვრთნელი თემურ ქეცბაია ძალიან გააწყენა.

ჯამარაულმა უცნაურად დაასრულა ფეხბურთელის კარიერა, რაც ალბათ სიმბოლური იყო — ის მართლაც არაორდინარული ფეხბურთელი გახლდათ საკუთარი უცნაურობებით.

დავით თავართქილაძე



ბადრი ძმელაძის ფოტო

რომანი ნალჩიკში

25 წლის ნახევარმცველი რომან ახალკაცი მოსკოვის „ლოკომოტივის“ დუბლებიდან ნალჩიკის „სპარტაკში“ წავიდა გასინჯვაზე. ახალკაცი ორი წლის წინ გადავიდა მოსკოველ რკინიგზელებთან, ერთხანს მთვარ გუნდშიც ხვდებოდა, თუმცა ბოლო დროს სულ დუბლებში უწევდა თამაში.

რომანი სეზონის ბოლომდე დარჩება ნალჩიკში, მერე კი ეგებ ისევ დაიბრუნოს „ლოკომოტივმა“. აქვე გეტყვით, რომ ნალჩიკის „სპარტაკი“ რუსეთის პირველ დივიზიონში მეშვიდე ადგილზეა და პრემიერლიგაში გადასვლის შანსს ინარჩუნებს.

ლუკა თალაკვაძე

Coca-Cola WORLD RANKING

1	1	ბრაზილია	846	16	16	ირლანდია	711
2	3	არგენტინა	787	17	12	შვედეთი	710
3	4	ჰოლანდია	781	18	18	ურუგვაი	703
4	2	ჩეხეთი	778	19	16	*დანია*	698
5	6	მექსიკა	768	20	14	*საბერძნეთი*	698
6	10	აშშ	765				
7	5	საფრანგეთი	749				
8	9	ესპანეთი	744	36	37	*უკრაინა*	639
9	7	ინგლისი	744				
10	8	პორტუგალია	739	86	86	*ალბანეთი*	501
11	21	გერმანია	723				
12	14	*თურქეთი*	716	103	102	საქართველო	463
13	18	იაპონია	715				
14	11	იტალია	713				
15	17	ირანი	711	148	148	*ყაზახეთი*	299

I გრაფა - ადგილი; II - ადგილი წინა თვეში; III - ქვეყანა; IV - ქულა

ჯერ სუდანს დავეწიოთ...

წინ სუდანი, უკან რუანდა. ჰა, როგორია? საქართველოს ნაკრებს „ფიფა-კოკა კოლას“ ივლისის რეიტინგში ოთხი ქულა ჩამოაკლდა და ერთი ადგილით დაქვეითდა. 103-ე საფეხურია ალენ ჟირესის გუნდის რეალობა და ვითომ ჩვენი ტოლსწორი ალბანეთიც უკვე გვარიანად გვისწრებს. საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელები თურქეთი, დანია, საბერძნეთი — კვლავაც ოცეულში არიან.

რეიტინგსიას კი ბრაზილია აქამდეც სოლიდურად ლიდერობდა და კონფედერაციის თასზე ტრიუმფის შემდეგ ხომ მთლად აიწყვიტა...

ენრიკო პრეციოზის ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა

შიშიანობა იტალიაში

სერია A შესაძლოა აგვისტოში ვერ დაიწყოს

იტალიელი გულშემატკივრები კარგა ხანია დაეჩვიენ, რომ მათ საყვარელ კლუბებს ფული არ აქვთ. გაიხსენეთ ბოლო წლების ამბები: „ფიორენტინა“ გაკოტრდა, „პარმას“ პატრონი კომპანია, „პარმალატი“ გამოეცალა, დიდ გასაჭირში იყვნენ „რომა“ და „ლაციო“, უფრო წვრილი მაგალითების მოტანა კი მრავლად შეიძლება. და აი, თვით იტალიური ფეხბურთის გულშემატკივართა შორის ყველაზე დიდი გულშემატკივარი, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ჩავარდა გასულ კვირას დიდ საგონებელში — პარასკევს იგი იძულებული შეიქნა კვლავ და კვლავ უფულობის გამო სერია A-დან დაეთხოვა ამ ლიგაში ახალაღზევებული „ტორინო“ და „მესინა“.

მაშ ასე, ფედერაცია და კლუბები — ახალი და მტკივნეული იტალიური თემა. და რით არის ეს თემა ახალი? იმით, რომ ფედერაცია იძულებული შეიქნა ახალი პოლიტიკა შეემუშავებინა. მას ასე დაარქვეს: ნულოვანი შებრალების პოლიტიკა.

ნულოვანი შებრალების პოლიტიკას შემაშფოთებელი შედეგი აქვს. დღეისათვის იტალიური ფეხბურთის ზედა ოთხი დივიზიონიდან უკვე ცამეტი კლუბი ჩააქვეითეს და ამას შეგიძლიათ დაამატოთ ჯერ დაუსჯელი, მაგრამ ცუდ დღეში ჩავარდნილი სერია B-ს ჩემპიონი „ჯენოა“. გენუელებს გასულ სეზონში თამაშის ჩაწყობა უმტკიცდებათ.

რა ხდება კერძოდ? ივნისში „ჯენოას“ ქომაგებმა სერია A-დან გავარდნის მძიმე ათწლეულის დასასრული იზეიმეს. სეზონის დამაგვირგვინებელი მატჩი „ჯენოას“ „ვენეციასთან“ ჰქონდა, 3:2 მოიგო, მაგრამ ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა. გავიდა რამდენიმე დღე და ვენეციელთა კლუბის გენერალური მენეჯერი ჯუზეპე პალიარა პოლიციამ მაშინ დააკავა, როდესაც ის მილანთან ახლოს, „ჯენოას“ პრეზიდენტის ენრიკო პრეციოზის ოფისიდან გადიოდა. მანქანაში პალიარას 250 ათასი ევრო აღმოაჩნდა, რაზეც განაცხადა ჩვენი გუნდის მცველის, რუბენ მალდონადოს ტრანსფერის ბე არისო. გამოძიება ასეთ პასუხს არ დასჯერდა და სატელეფონო საუბრების ჩანაწერებს მიადგნენ. გაირკვა, რომ პრეციოზის, მის ვაჟს მატეოსა და „ვენეციას“ კიდევ ერთ დირექტორს, მიქელე დალ ჩინს, ხსენებული მატჩის წინ ერთმანეთში ისეთი სიტყვები გაუცვლიათ, საქმის აღძვრად რომ ღირდა.

დღეს საქმე ასეა: მატჩის ჩაწყობაში ბრალი ორივე მხარის რვა წარმომადგენელს ედება. რა დამტკიცდება, როგორ და საბოლოოდ ვინ როგორ დაისჯება ჯერ გასარკვევია, რაც იმას ნიშნავს, რომ სერია A-ს ჩემპიონატი შესაძლოა აგვისტოში სულაც ვერ დაიწყონ.

ფედერაციის ახალი პოლიტიკის წინააღმდეგ შერისხულთა ნაწილმა უკვე ამოიღო ხმა. ზემოხსენებულმა „მესინამ“ და „ტორინომ“ იტალიის ოლიმპიურ კომიტეტში შეიტანეს საჩივარი. აქ სიცხადისთვის დავძენთ, რომ იტალიაში სპორტს ოლიმპიური კომიტეტი განაგებს, თუმცა ეს ზემდგომი ორგანო რამდენიმე დღის განმავლობაში სავარაუდოდ არაფერსაც არ იტყვის.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ ოლიმპიურ კომიტეტს და სულაც ათასგვარ სასამართლოს შესაძლოა სხვა კლუბებმაც მიმართონ და მდგომარეობა უარესად აირ-დაირევა.

და კიდევ, გენუაში, „ჯენოას“ „ლუიჯი ფერარისის“ სახელობის სტადიონის წინ გამოჩნდა ლოზუნგები: „სერია A ან ძალადობა“ და „მოემზადეთ ყველაფრისთვის“

ეს კი უკვე საშიშია!

პაპუნა კედია

ძუნძული და ორასი გულშემატკივარი



ჩინელი გულშემატკივარი დევიდ ბექემის პლაკატით ხელში

ითამაშებს თუ არა დევიდ ბექემი მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში ამხანაგურ მატჩს ჩინურ კლუბ „პეკინ გუოანთან“? ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს. ზუსტად მხოლოდ სამი რამ არის ცნობილი: ერთი, რომ თამაში ხვალაა, მეორე, რომ ბექემმა ვარჯიშით სრულყოფილად ვერ ივარჯიშა ანუ მხოლოდ ძუნძულით შემოიფარგლა და მესამე — ჩინელ გულშემატკივრებს ძალიან უნდათ, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ითამაშოს.

შეგახსენებთ, რომ დევიდ ბექემმა ორთავა კუნთი რამდენიმე დღის წინ დედამიწის მეორე ბოლოში, კალიფორნიაში, „ლოს ანჯელეს გალაქსისთან“ 2:0 მოგებული შეხვედრის დროს დაიზიანა. დავაზუსტოთ, რომ „რეალს“ სეზონისწინა სამზადისი აქვს და ლოს ანჯელესის გუნდთან თამაში „სამეფო გუნდისთვის“ ამ სამზადისში მეორე იყო.

ზემოთ ბექემის ძუნძული რომ ვახსენეთ, ამ ამბავს ორასზე მეტი ჩინელი გულშემატკივარი ესწრებოდა. საინტერესოა, რომ ინგლისელს მარტოს არ უძუნძულია, გვერდით რონალდო მიჰყვებოდა, დანარჩენი გალაქტიკოსები კი ორად გაიყვნენ და ბურთი გააგორეს.

ახლა გეგმაში ასეა: „რეალი“ შემდეგ ორ თამაშს იაპონიაში გამართავს, ბოლოს კი ტურნეს ბანკოკში ამხანაგური თამაშით დააგვირგვინებს.

პაპუნა კედია

ლერუას ბორდო ურჩევნია

ბენაშური გაგიმარაეშელდა

სელიმ ბენაშური

ლორენ ლეროი

პსჟ-ს პლეიმეიკერ სელიმ ბენაშურს ფრანგული ლიგა მოსწყინდა და პორტუგალიის „გიმარაეშში“ გადაბარგდა.

ტუნისელი ფეხბურთელი პარიზულ კლუბში ხუთი წლის წინ გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში იშკიათად ათამაშებდნენ. გასულ სეზონში მას მხოლოდ ცხრავჯერ ანდეს ადგილი ძირითად შემადგენლობაში და ერთი გოლი გაიტანა. სელიმ ბენაშურმა „გიმარაეშთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა შემდგომში გახანგრძლივების პირობით და მას 81-ნომერიანი მაისურა ერგო.

კიდევ ერთ პსჟ-ელი ლორენ ლეროი „ბორდოში“ თამამს აპირებს. ლეროი 1998 წელს პარიზელებმა „კანიდან“ შეიძინეს. 2001-ის აგვისტოში მარჯვენა ფეხის იოტეხილობის გამო ერთი სეზონი გაუცდა. გამოკეთების შემდეგ შეეცარიულ „ქსამაქსს“ მიაშურა, მერე კი საფრანგეთში, „კანში“ დაბრუნდა და ერთწლიან კონტრაქტს დაეთბულდა.

ლორენ ლეროის გადაყვანა „ბორდოს“ სურს, რადგან მისი ბრაზილიელი შეგოლე დევიდი ლისაბონის „სპორტინგმა“ შეიძინა. დევიდმა გასული სეზონი „სანტოსში“ და ამ ზაფხულს კვლავ „ბორდოს“ ეახლა, რომელმაც პორტუგალიაში გააგზავნა.

ვაჟა ხუციშვილი

ორს უნდა მალუდა

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „ბაიერნმა“ „ლიონის“ გარემარბის, ფლორენ მალუდას დასაზვერად, „პსვ ეინდჰოვენთან“ „პის ქაფის“ მატჩზე სკაუტები გაუშვეს.

ფრანგულ პრესაში გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, ხსენებული ევროგიგანტები 25 წლის მალუდას შეძენით არიან დაინტერესებულნი. მალუდამ სამხრეთ კორეაში მიმდინარე „პის ქაფის“ შეხვედრაში გოლი შეაგდო და ფინალში გავიდა.

აგრეთვე ცნობილია, რომ „ლიონს“ „ბაიერნისა“ და „მანჩესტერისგან“ ჯერ ოფიციალური ქაღალდი არ მიუღია. როგორც ამბობენ, მანჩესტერელებს საფრანგეთის ნაკრების წევრი უელსელი რაიან გიგზის შესაცვლელად სჭირდებათ. მოგეხსენებათ, ჭორაობენ, თითქოს გიგზი „რეალში“ უნდა გადავიდეს.

მალუდათ ადრე „გინგამში“ თამაშობდა, ბოლო სამი წელიწადი კი „ლიონშია“. რაც საფრანგეთის ნაკრებს რაიმონ დომენეკი უდგას სათავეში, მისთვის გუნდში მუდმივად არის ადგილი.

პაპუნა კედია

ფლორენ მალუდაზე (მარცხნივ) დიდი კლუბები ნადირობენ

რობინიო ჯანმრთელია და რეალშია!

ფიგუ ჰოლანდიელებზე ჰკიდია

რობინიო „რეალის“ ექიმმა გასინჯა

რობინიო მადრიდის რეალში გადავიდა! ესპანური რადიოს ცნობით „სანტოსსა“ და „რეალს“ შორის 24 მილიონ ევროიანი გარიგება შედგა, თუმცა ესპანურმა კლუბმა ეს ამბავი უცბად ვერ დაადასტურა ცნობილია, რომ ფეხბურთელი ამჟამად სან პაულუს კლინიკაშია და სამედიცინო შემოწმებას გადის. 21 წლისას ჯანი თვით „რეალის“ მთავარმა ექიმმა ალფონსო დელ კორალმა შეამოწმა.

„არ ვიცი, რობინიო მადრიდში მიდის თუ სხვაგან, მაგრამ ის ჯანღონით სავსეა — განაცხადა „სანტოსის“ დასტაქარმა ჟოაკიმ გრავამ — თავის ასაკთან შედარებით უფრო ჯეელია“.

„სანტოსის“ პრეზიდენტი „რეალისგან“ დაჟინებით ითხოვდა 50 მილიონ დოლარს, მაგრამ ბრაზილიური მედიისავე მტკიცებით, სატრანსფერო ფასი გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ კი მილანის „ინტერს“ რომ სურს, უკვე კვირანახევრის ამბავია. „ინტერმა“ ედგარ დავიდსი და ენდი ვან დერ მეიდე თუ გაყიდა, ფიგუს აუცილებლად იყიდის. ორივე ჰოლანდიელი ფეხბურთელის შეძენა „ევერტონს“ მოუწადინებია. ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს და მღონიერება სურს. „ევერტონის“ მსტოვრები გუშინწინ მილანში ჩასულან და „ინტერის“ ბოსებს შეხვედრიან.

ვაჟა ხუციშვილი

ნიჰათის კონტრაქტი უნდა

„რეალ სოსიედადის“ ნახევარმცველ ნიჰათ კაჰვეჩის კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურს. თურქი ფეხბურთელის მოსკოვის ცსკა-ში გადასვლაზე საუბრობდნენ, მაგრამ მუხლის ტრავმის გამო ტრანსფერი არ შედგა.

„სოსიედადში კიდევ ერთი წელიწადი დამრჩა, — თქვა ნიჰათმა — მაგრამ მზად ვარ, კონტრაქტი გავაგრძელო. კლუბმა იცის ჩემი პირობები, ჯამაგირის მომატებას არ ვითხოვ. თუ შევთანხმდებით, კვლავ „სოსიედადის“ ფეხბურთელი ვიქნები, თუ არადა გამყიდონ და იხეირებენ“.

ნიჰათს გასულ სეზონში მარცხენა მუხლის მყესები დაუზიანდა, მაგრამ მკურნალობამ კარგად ჩაიარა და ამ ზაფხულს საბოლოოდ გამოკეთდება.

თურქეთის ნაკრების ფეხბუროელი ივნისში მოსკოვის ცსკა-ში უნდა გადასულიყო, მაგრამ ჯერ მიუნხენში, შემდეგ კი ლონდონში ექიმთან შემოწმების შემდეგ რუსებმა მოთამაშის შეძენა იუარეს.

ნიჰათ კაჰვეჩი 13 გოლიო გასულ სეზონში „სოსიედადის“ ბომბარდირი გახდა.

ვაჟა ხუციშვილი

ყველაფერი არსენალის შესახებ

ფრედერიკ კანუტმა ვენგერს თვისტომი დიარა ურჩია

ორი დღის წინ ვწერდით, რომ „სევილიას“ ბრაზილიელმა ფორვარდმა ჟულიო ბაპტისტამ ესპანეთში დარჩენა ისურვა, ხოლო „არსენალს“ და „ტოტენჰემს“ უარი შეუთვალა, ბრიტანული მედიის ცნობით კი გუშინ „არსენალის“ ვიცეპრეზიდენტი დევიდ დინი კიდევ ერთხელ გაემგზავრა სევილიაში ბაპტისტას გადასაბირებლად. „მეთოფეები“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 13 მილიონ გირვანქას იხდიან.

„არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი ამასობაში პატრიკ ვიეირას შემცვლელს ეძებს. ფრანგმა თავკაცმა ამჯერად „რომას“ მიაკითხა ოლივიე დაკურის თაობაზე. დაკური 1998-99 წლებში „ევერტონში“ თამაშობდა, საიდანაც „ლანსში“ გადავიდა და მერე კვლავ პრემიერლიგაში, „ლიდსში“ აღმოჩნდა. ოლივიე დაკურს „რომასთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ ნახევარმცველმა მისი გახანგრძლივება არ ისურვა.

არსენ ვენგერს კონსულტაცია „ტოტენჰემის“ მალელმა ფორვარდმა ფრედერიკ კანუტმაც გაუწია. კანუტის აზრით, ვიეირას იდეალური შემცვლელი „ლიონის“ ნახევარმცველი მაჰამადუ დიარა იქნება.

„დიარა ვიეირას დიდად არ ჩამოუვარდება. დაცვაშიც შესანიშნავად თამაშობს და შეტევაც ეხერხება. ასეთი ფეხბურთელები იშვიათობაა“ — შეაქო ფრედერიკ კანუტმა თანამემამულე.

ვაჟა ხუციშვილი

ვიანა ტრაპთან

ბუნდესლიგის „შტუტგარტმა“ „ნიუკასლის“ პორტუგალიელ ნახევარმცველ უგო ვიანას გადაბირება მოისურვა. ვიანამ გასულ სეზონში ლისაბონის „სპორტინგში“ გაატარა, რადგან „ნიუკასლმა“ ერთი წლით გაანათხოვრა.

„შტუტგარტის“ მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონიც გასულ სეზონში „ბენფიკას“ თავკაცობდა და უგო ვიანას კარგი თამაში შეუმჩნეველი არ დამრჩენია. გერმანულმა გუნდმა ამ ზაფხულს ლონდონის „არსენალს“ ბელარუსი ნახევარმცველი ალექსანდრ გლები მიჰყიდა. ტრაპატონის გლების შემცვლელად სწორედ უგო ვიანა მიაჩნია.

„ის ძალიან საინტერესო მოთამაშეა, თუმც შეიძლება, ახლა ცერ შევიძინოთ“ — თქვა ტრაპატონიმ.

გრემ სუნესის „ნიუკასლს“ ნახევარდაცვაში არ ულხინს და ფეხბურთელები სჭირდება, თუმც მზადაა, უგო ვიანა „შტუტგარტს“ დაუთმოს, თუ გერმანელები შესაბამის თანხას გადაიხდიან. „შტუტგარტს“ ვიანას შეძენა კი არა, ერთი წლით ანუ დროებით წაყვანა სურს და თუ გაამართლებს, მაშინ „ნიუკასლს“ ხუთ მილიონ ევროს მიუთვლის.

ვაჟა ხუციშვილი

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

CHAMPIONS LEAGUE

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ლუქსემბურგმა ემბარგო მოხსნა 42 წლის შემდეგ

პუნიკი (სომხეთი) 2:2 *ჰაკა (ფინეთი)* (0:1)
ზრინსკი (ბოსნია) 0:4დ.დ.(0:1) *დუდელანჟი (ლუქსემბურგი)* (1:0)
სპონტო (ლატვია) 1:0 *რაბოტნიჩკი (მაკედონია)* (0:6)
ანართოსისი (კვიპროსი) 1:0 **დინამო** (ბელარუსი) (1:1)
შერიფი (მოლდოვა) 2:0 **სლიმა** (მალტა) (4:1)
პეტრჟალკა (სლოვაკეთი) 4:1 **კაირატი** (ყაზახეთი) (0:2)
შელბურნი (ირლანდია) 4:1 **გლენტორანი** (ჩრდ. ირლანდია) (2:1)
ტირანა (ალბანეთი) 3:0 **ნოვა გორიცა** (სლოვენია) (0:2)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია) 1:2 *ნეფთჩი (აზერბაიჯანი)* (0:2)

„ტირანა“ — „ნოვა გორიცა“. ალბანელმა ჰამდი სალიჰმა მაყრატელა დაარტყა

სასწაული მოხდა — ლუქსემბურგის „დუდელაჟნი“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა. 42 წლის განმავლობაში ლუქსემბურგულ გუნდს პირველი ეტაპი არასოდეს გაევლო და ეს „დუდელაჟნმა“ მოახერხა. ბოსნიურმა „ზრინსკიმ“ ერთი კვირის წინ სტუმრად „დუდელაჟნს“ 1:0 მოუგო. ეს არც არავის გაჰკვირვებია და ბოსნიელები საპასუხო მატჩშიც იოლ გამარჯვებას ელოდებოდნენ, მაგრამ „ზრინსკი“ თამაშის ბოლო წუთიდან აირია. ბოლო წუთზე სტუმართა პოლონელმა ფორვარდმა ტომს გრუშჩინსკიმ გაიტანა და ორი შეხვედრის ჯამში ანგარიში გაქვითა.

დამატებით დროში ლუქსემბურგელებმა მასპინძლები დააჩოქეს. იორის დე გრეგორომ მეორე გოლი მიართვა „ზრინსკის“, გრუშჩინსკიმ მესამე მიაყოლა, ხოლო გაელ ჰაგმა — მეოთხე.

„ჰაკამ“ ერევნის „პუნიკს“ პირველ მატჩში 1:0 მოუგო, მაგრამ სომხეთში ჩასული ფინელები პირველი ტაიმის შემდეგ 0:2-ს აგებდნენ. ლევონ პაჩაიანმა და მალელმა მამადუ დიავარამ შესვენებამდე „ჰაკას“ თითო-თითო გოლი გაუტანეს. ფინეთის ჩემპიონები მეორე ტაიმში გამოცოცხლდნენ. იარნო მაცილამ ერთი გაქვითა, მერე კი „ჰაკას“ სამხრეთაფრიკელმა ლეგიონერმა ჩეინე ვაულერმა გაათანაბრა.

„ჰაკა მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვალერენგას“ შეხვდება. ფინელები შარშანაც ნორვეგიულ გუნდს „სტაბეკს“ გადაეყარნენ და ორივე მატჩი წააგეს.

მალტის „სლემა“ მოლდოვურმა „შერიფმა“ ერთი კვირის წინ სტუმრად 6:0 მიანგრია და მოლდოველი ქომაგები საშინაო მატჩშიც მეტოქის რბევით გახალისებას გეგმავდნენ, მაგრამ ამაოდ. „შერიფმა“ 78-ე წუთამდე მალტელებს გოლი ვერ გაუტანა, მერე კი ორი მიითვალა. რაზვან კოსისმა და ბენ იდრისა დერმემ მასპინძელი გულშემატკივრები მხოლოდ ორი გოლით ასიამოვნეს.

სლოვენიურ „ნოვა გორიცას“ შინ მოგებული 2:0-ის შემდეგ თითქოს საკმარისი ფორა ჰქონდა ალბანურ „ტირანასთან“, მაგრამ ალბანელებმა ორბურთიანი სხვაობა ნაცარტუტად აქციეს. 35 წლის ალტინ რაკლიმ დამხვდურები დააწინაურა. რეზატ დაბულამ და ჰამდი სალიჰმა ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდეს და „ტირანამ“ მშვიდად მიიყვანა საქმე სასურველ დასასრულამდე.

ბაქოს „ნეფთჩიმ“ პირველი შეხვედრაში შინ ისლანდიის „ჰაფნარფიორდური“ 2:0 დაამარცხა და გამარჯვება სტუმრადაც არ გასჭირვებია. ბაქოელები შესვენებამდე აგილ მამედოვმა დააწინაურა, ხოლო მასპინძლებმა ალან ბორგვარდტის წყალობით გაათანაბრეს. აზერბაიჯანის ნაკრების ფეხბურთელმა ნადირ ნაბუკმა მოგვიანებით მეორე გაუტანა „ჰაფნარფიორდუსა“ და „ნეფთჩის“ მეტოქე მომდევნო ეტაპზე „ანდერლეხტი“ იქნება.

მაკედონიის „რაბოტნიჩკიმ“ „სკონტოსთან“ ერთი კვირის წინ მოგებული 6:0-ით მოაგვარა საქმე და რიგაში მშვიდად ჩავიდა. „სკონტოს“ მაკედონიაში სამარცხვინო მარცხის შემდეგ მწვრთნელი შეუცვალეს. იურის ანდრეევსის ნაცვლად პოლ ეშუორთი დანიშნეს. ეშუორთმა დებიუტი მოგებით აღნიშნა, თუმცა „სკონტომ“ „რაბოტნიჩკის“ დამარცხება პერეპიოლკინის ბოლო წუთზე გატანილი გოლით შეძლო.

ირლანდიის ჩემპიონმა „შელბურნმა“ ჩრდილოირლანდიური „გლენტორანი“ საპასუხო მატჩშიც დაჯაბნა. ამ შეხვედრას ბუქარესტის „სტიაუას“ მწვრთნელი ოლეგ პროტასოვიც დაესწრო. ის მომავალ მეტოქეს აკვირდებოდა. მომავალი მოწინააღმდეგე კი „შელბურნი“ იქნება. ოუენ ჰირომ მასპინძლები მეთოთხმეტე წუთზე დააწინაურა. პიტერ მაკკანმა პირველივე ტაიმში გაათანაბრა ანგარიში და „გლენტორანს“ იმედი გაუჩნდა, მაგრამ „შელბურნმა“ ამის შემდეგ სამი გოლი მიაყოლა. პოლ ლიმანმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, რასაც სტიუარტ ბაირნის ზუსტად შესრულებული პენალტი მოჰყვა. ლიმანი გაძევეს და ირლანდიელებს მეტოქის დამარცხება აღარ გასჭირვებიათ. გლენ კროუმ მესამე შეაგდო, რასაც მეოთხე გოლიც მოჰყვა და „გლენტორანი“ გავარდა.

ვაჟა ხუციშვილი

II საკვ ალიფიკაციო ეტაპი

დინამო (საქართველო)	—	**ბრონდბიუ (დანია)**
კაუნასი (ლიტვა)	—	**ლივერპული (ინგლისი)**
პარტიზანი (სერბეთი)	—	**შერიფი (მოლდოვა)**
დებრეცენი (უნგრეთი)	—	**ჰაიდუკი (ხორვატია)**
პეტრჟალკა (სლოვაკეთი)	—	**სელტიკი (შოტლანდია)**
ტირანა (ალბანეთი)	—	**ცსკა (ბულგარეთი)**
ანდერლეხტი (ბელგია)	—	**ნეფთჩი (აზერბაიჯანი)**
ვოლერენგა (ნორვეგია)	—	**ჰაკა (ფინეთი)**
რაბოტნიჩკი (მაკედონია)	—	**ლოკომოტივი (რუსეთი)**
დუდელანჟი (ლუქსემბურგი)	—	**რაპიდი (ავსტრია)**
დინამო (უკრაინა)	—	**თუნი (შვეიცარია)**
მალმიო (შვედეთი)	—	**მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)**
შელბურნი (ირლანდია)	—	**სტიაუა (რუმინეთი)**
ანართოსისი (კვიპროსი)	—	**ტრაბზონსფორი (თურქეთი)**

I მატჩები გაიმართება 26-27 ივლისს, საპასუხოები — 2-3 აგვისტოს

TIM CUP 2005

გუშინდელი თანაგუნდელები ინტერელი ივან კორდობა და ახალი მილანელი კრისტიან ვიერი ერთმანეთს შეებნენ

ინტერი 0:0 (პენ.5:4) მილანი

ინტერი: ჟულიო სეზარი, ზე მარია (არიეტა 42), ი. კორდობა, მატერაცი, ვომე, დ. სტანკოვიჩი, დ. პიზარო (კარაგუნისი 35), კ. ძანეტი, სოლარი, ხ. კრუზი (მომენტე 42), ო. მარტინსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
მილანი: ელეფთეროპულოსი, კაფუ, ნესტა (კოსტაკურტა 31), სტამი, კალაძე, გატუზო, პირლო (ამბროზინი 36), ზეედორფი, რუი კოშტა, სერჟინიო, ვიერი (არდემანი 35)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
მსაჯი: რიცოლი
25 000 მაყურებელი

მილანი 2:1 იუვენტუსი

1:0 ვიერი (113), 2:0 რუი კოშტა (25), 2:1 ტრეზეგე (39)
მილანი: ფიორი, კაფუ (მარცორატი 40), ნესტა, კოსტაკურტა, შიმიჩი, ამბროზინი, პირლო, ზეედორფი (გატუზო 34), რუი კოშტა, სერჟინიო (კალაძე 31), ვიერი (არდემანი 45)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
იუვენტუსი: კიმენტი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, კიელინი, ოლივერა, ტაკინარდი (ჯანიკედა 25), ვიეირა, ნედვედი, ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი (ზალაიეტა 25)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
მსაჯი: მორგანტი
25 000 მაყურებელი

იუვენტუსი 0:1 ინტერი

0:1 მარტინსი (43)
იუვენტუსი: კიმენტი, პესოტო, ტურამი, რ. კოვაჩი, ძამბროტა, კამორანეზი, ვიეირა, ბლაზი, დელ პიერო, მუტუ, იბრაჰიმოვიჩი (ზალაიეტა 31)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ინტერი: კარინი, ზე მარია, ი. კორდობა, მატერაცი, ვომე, დ. სტანკოვიჩი (ბელაიედი 45), კარაგუნისი (ო. მარტინსი 28), დ. პიზარო, კ. ძანეტი, სოლარი, ხ. კრუზი (არიეტა 35)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
მსაჯი: პიერი
25 000 მაყურებელი

გუშინწინ, გვიან ღამით „TIM CUP“-ს მეხუთე გათამაშება ჩატარდა და იგი მეოთხედ მილანის „ინტერმა“ მოიგო. რობერტო მანჩინის გუნდი, როგორც ყოველთვის, სეზონის წინ მეტოქეებზე უკეთ გამოიყურებოდა.

ეს მინი-ტურნირი მილანური დერბით გაიხსნა. 45-მა წუთმა ორმხრივ იერიშებში ჩაიარა, მაგრამ გუნდებმა ერთმანეთის კარის დალაშქვრა ვერ შეძლეს. საქმე პენალტებამდე მივიდა, სადაც „ნეროაძურის“ გაუმართლა. „მილანის“ მხრიდან სერჟინიომ და ამბროზინიმ ვერ ივარგეს, ხოლო „შავ-ლურჯების“ რიგებიდან მხოლოდ არიეტამ გააცუდა პენალტი.

შემდეგ, მინდორზე „მილანი“ და „იუვენტუსი“ გავიდნენ. კარლო ანჩელოტის გუნდი შედარებით სწრაფად და უფრო ეფექტურად მოძრაობდა. შედეგმაც არ დააყოვნა და ტაიმის შუაწელს „როსონერი“ უკვე ორი ბურთის სხვაობით იგებდა. ერთადერთი, რაც „ბებერმა ქალბატონმა“ შეძლო, დავიდ ტრეზეგეს საპასუხო გოლი იყო.

ბოლოს კი ერომანეთს „ინტერი“ და „იუვენტუსი“ შეერკინენ. ამ მატჩში ტურნირის გამარჯვებულის ბედი წყდებოდა. ტურინელებს შანსი აღარ ჰქონდათ და „ინტერმაც“ ტაიმის მიწურულს გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

ამ შეჯიბრის მანძილზე ტექნიკური თამაშითა და გულშემატკივარითვის განსაკუთრებულად მოსაწონი ფეხბურთით თავი პატრიკ ვიეირამ, ალექს დელ პიერომ, კაფუმ, რუი კოშტამ და დეიან სტანკოვიჩმა გამოიჩინეს. ქომაგებმა მათთვის აპლოდისმენტებიც არ დაიშურეს.

„როდესაც რამეს იგებ, ყოველთვის სასიამოვნოა. თუმც სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ახალმა ფეხბურთელებმა ნამდვილად გამაოცეს. ზოგმა იმაზე მეტიც კი გააკეთა, ვიდრე ველოდი“ — განაცხადა „ინტერის“ თავკაცმა რობერტო მანჩინიმ.

„ინტერთან“ უფრო ცუდად გამოვიყურებოდით, ვიდრე „იუვენტუსთან“, განსაკუთრებით ფლანგებზე თამაშს გამოვარჩევ. ბევრი ფეხბურთელი მაკლდა და ამას თუ გავითვალისწინებთ, ძალიან კმაყოფილი ვარ“ — განაცხადა „მილანის“ მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

აქვე ბოლო ადგილზე გასული „იუვენტუსის“ დამრიგებელ ფაბიო კაპელოსაზრსაც გავეცნოთ: „კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით წინ. ბოლო დღეებში სერიოზულად ვიმუშავეთ და მიხარია, რომ ამის შედეგი დავინახე. ორივე მატჩი კი წავაგეთ, მაგრამ ეს ნაკლებად მაღელვებს. მთავარი თამაშის ხარისხია“.

ბოლოს აღვნიშნოთ, რომ კრისტიან ვიერიმ „მილანის“ რიგებში დებიუტი წარმატებულად ჩაატარა. მან მართალია პენალტით, მაგრამ გოლიც გაიტანა და საკმაოდ აქტიურიც იყო.

გიორგი ბაბაბაძე

ხორცის ნაჭერ ჩაფრობას ეშურება
ლილმა ბერძენს პურის ჭამა შეაახსენა



„არსენალის“ ყოფილი მოთამაშე სტატის ტავლარიდისი „ლილს“ ვერ გადაახტა

ფრანგული „ლილის“ ცენტრალური მცველი სტატის ტავლარიდისი კლუბიდან წასვლას ლამობს, მაგრამ არ უშვებენ.

ბერძენი ფეხბურთელი „ლილში“ შარშან „არსენალიდან“ გადავიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ ტავლარიდისს გლაზგოს „რეინჯერსი“ ეპატიჟება. ბერძენ მცველს გული შოტლანდიისკენ მიუწევს. „ლილის“ ბოსები ერთი წლის წინ შეჰპირდნენ, შენი მსურველი გუნდი თუ გამოჩნდა, გაგიშვებთო, თუმც სიტყვა გატეხეს.

სტატის ტავლარიდისი: „აღარ მინდა „ლილში“ თამაში, „რეინჯერსში“ გადასვლა მსურს. შარშან პსჟ-ს ეწადა ჩემი გადაბირება, პრეზიდენტმა კი მითხრა, ერთი სეზონი კიდევ დარჩი და მერე სადაც გინდა წადიო. „ლილი“ პირობას არ ასრულებს. ისე მექცევიან, როგორც ხორცის ნაჭერს. გასულ აპრილში ჩემი აგენტი ვიცე-პრეზიდენტ ხავიერ ტუიოლტს შეხვდა. მას უთქვამს, ერთადერთი ფეხბურთელი, ვისაც გუნდიდან წასვლა შეუძლია, „ტავლარიდისიაო. ახლა ყველაფერი შეიცვალა და უნდათ, „ლილში“ ძალით დამტოვონ“.

„ლილის“ პრეზიდენტი მიშელ სეიდუ: „ჩვენ დადებულ პირობას ვასრულებთ. „რეინჯერსს“ რეალური წინადადებით არ მოუმართავს. მათ მხოლოდ გვკითხეს, ვყიდით თუ არა ტავლარიდისს“.

ბერძენი ფეხბურთელი ფრანგულ კლუბში თავს უბედურად გრძნობს: „არ მესმის რად უნდათ ისეთი კაცის დატოვება, რომელიც უგულოდ ითამაშებს“.

მიშელ სეიდუმ კი ბერძენს საპასუხოდ თითი დაუქნია, არ დაგავიწყდეს პურს ვინ გაჭშევდა ბოლო სეზონის განმავლობაშიო.

ვაჟა ხუციშვილი

ბენიტესი ესპანეთს არ ეშვება
სევილიას ფული ეცოტავა

ჩემპიონთა თასის მფლობელი „ლივერპული“ „სევილიას“ ბრაზილიელი დანიელ ალვეშის ყიდვას ცდილობს. ესპანური მედიის ცნობით, „ლივერპულმა“ 10 მილიონი ევრო გაამზადა 22 წლის მცველისთვის, რომელსაც მარჯვენა ნახევარმცველობაც შეუძლია.

ალვეში „სევილიაში“ 2003 წლის იანვარში „ბაიადან“ გადავიდა და წელიწადნახევარში ძირითად შემადგენლობაში ჩაეწერა. მისი კარგი თამაში მადრიდის „რეალისა“ და „იუვენტუსის“ მზვერავებსაც არ გამორჩენიათ, მაგრამ „სევილიამ“ ფეხბურთელის გაყიდვა არ ისურვა.

ამჯერად შეიძლება ვითარება, შეიცვალოს. ჟულიო ბაპტისტამ პრემიერლიგაში გადასვლაზე უარი თქვა, რადგან ესპანურ პასპორტს ელის. „სევილიას“ ოთხი არაევროკავშირელი (ბაპტისტა, ალვეში, ადრიანო კორეირა და ლუის ფაბიანო) ჰყავს. ოთხივეს ერთად ვერ ათამაშებს და ალბათ ერთ-ერთს შეელევა. „ლივერპულის“ მიერ შეთავაზებული 10 მილიონი ევრო ესპანელებს ეცოტავათ და ვაჭრობა გრძელდება.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური „პარმას“ ხელმძღვანელობა იუწყება, რომ ალბერტო ჯილარდინოში მიღებული თანხით ორ თავდამსხმელს დაიმატებს. „ძალიან გვიხარია, რომ ეს ტრანფერი შედგა. მართალია, დიდი ფეხბურთელი დავკარგეთ, მაგრამ ვფიქრობ, ყველა მოგებული დარჩა. ალბერტოს სანაცვლოდ მიღებული თანხის ნაწილს ორი ფორვარდის შეძენას მოვახმარეთ. კანდიდატებს ახლა მწვრთნელი არჩევს“ — თქვა პარმელთა სპორტულმა დირექტორმა ორესტე ჩინკინიმ.

ინგლისური „ლესტერის“ თავკაცი კრეიგ ლევინი მიიჩნევს, რომ რამდენიმე დღის წინ მის კლუბსა და „სელტიკს“ შორის გამართულ ამხანაგურ მატჩში გლაზგოელთა მცველმა ბოლო ბალდეკ ჯეიმს ვესელოვსკის განგებ მოსტეხა ფეხი. „სიტყვები არ მყოფნის, რომ ეს საშინელება აღვწერო. ყველას ვთხოვ, შეხედოს ფირს და დააკვირდეს ბადეს საქციელს. მას ბოდიშიც კი არ მოუხდია. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს ინციდენტი სათანადოდ გაიჩრეს“ — აღნიშნა ლევინმა.

ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაცია გუუს ჰიდინკთან მოლაპარაკებას აგრძელებს. როგორც ამბობენ, შეთანხმება თითქმის მიღწეულია და კონტრაქტის გაფორმებას ხელს ვეღარაფერი შეუშლის. ძალიან მიხარია, რომ საქმე კარგად მიდის. ჰიდინკის კანდიდატურა ყველანაირად გვაკმაყოფილებს. მჯერა, იგი ჩვენი ნაკრების მწვრთნელი გახდება. დანარჩენი დროის ამბავია“ — თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა ჯონ ონილმა.

იტალიური „კლიარის“ მთავარი მწვრთნელი ატილიო ტესერი ცდილობს, ჯანფრანკო ძოლას ფეხბურთიდან წასვლა გადააფიქრებინოს და გუნდში დააბრუნოს. „რამდენიმე დღეში ჯანფრანკოს დავულაპარაკები. როგორმე აზრი უნდა შევაცვლევინო. ძოლას კლასზე და მნიშვნელობაზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია. ბიჭები მისი გადაწყვეტილებით ძალიან დამწუხრებულები და დაბნეულები არიან. იგი „კალიარის“ უდავო ლიდერი იყო“ — განაცხადა ტერერმა.

ესპანურმა „სელტამ“ არგენტინელი ნახევარმცველი დიეგო პლასენტე დაიმატა. 28 წლის ფეხბურთელს „ლევერკუზენის“ დატოვება ჰქონდა გადაწყვეტილი და საბოლოოდ ვიგოელთა წინააღმდეგ მიიღო. მან თავის ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სეზონში დაახლოებით 1,2 მილიონ ევროს მიიღებს.

ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველ რიო ფერდინანდის აგენტი პინი ზაჰავი ირწმუნება, რომ მისი კლიენტი „ოლდ ტრაფორდზე“ რჩება. „ჭორებს ნუ აჰყვებით. ამჟამად მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებთ. რიო „მანჩესტერში“ ითამაშებს“ — განაცხადა ზაჰავიმ.

იტალიური „ბოლონიას“ თავკაცად რენცო ულივიერი დანიშნა. გამოცდილი სპეციალისტი „რენატო დალარას“ აქამდეც წვრთნიდა 1994-98 წლებში. ამჟამად მას დიდი ტრადიციების მქონე კლუბის სერია A-ში დაბრუნება ევალება. ულივიერიმ უკვე აღნიშნა, რომ რამდენიმე ფეხბურთელის გაშვებას და ახლების ყიდვას აპირებს.

შოტლანდიურმა „სელტიკმა“ ინგლისური „ბრაიტონის“ მცველი ადამ ვირგო დაიმატა. გლაზგოელები მასში 1,5 მილიონ გირვანქას გადაიხდიან მას მერე, რაც ფეხბურთელთან პირადი კონტრაქტის დეტალებს შეათანხმებენ. საინტერესოა, რომ 22 წლის ფერგის დაცვის გარდა თავდასხმაშიც წარმატებით გამოსდის თამაში და არაერთი გოლი გააქვს. „სელტიკის“ თავკაცი გორდონ სტრაჩანი შენაძენით ძალიან კმაყოფილია.

ესპანური „სარაგოსას“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მიუხედავად „ლივერპულის“ სერიოზული ინტერესისა, გუნდი გაბრიელ მილიტოს გასხვისებას არ აპირებს. ყველანაირად ვცდილობთ მის შენარჩუნებას და ვფიქრობ, მოვახერხებთ კიდეც. გაბრიელს ახალი, ორწლიანი კონტრაქტი შევთავაზეთ, მისთვის საკმაოდ მისაღები პირობებით“ — თქვა ესპანური კლუბის თავმჯდომარემ ჯერონიმო სუპრესამ.

გერმანული „შტუტგარტის“ ახალწვეულმა დანიელ ბირიოუკამ იტალიური „სიენასთან“ ამხანაგური მატჩისას დანიელე პორტანოვასთან ორთაბრძოლისას ფეხი მოიტეხა. შტუტგარტელთა ექიმების თქმით, ნახევარმცველი ხუთი თვის მანძილზე ვერ იბურთაობებს.

ინგლისურმა „ევერტონმა“ ალესანდრო პისტონესთან ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 29 წლის მცველი „გუდისონ პარკის“ დატოვებას აპირებდა, მაგრამ „ლეჩესთან“ პირადი კონტრაქტის დეტალები ვერ შეათანხმა და გადაწყვიტა უკან დაბრუნებულიყო. ლივერპულელი კლუბის უფროსობა ამ ყველაფრით ძალიან კმაყოფილია.

იტალიის ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ ლეგენდარულმა მეკარემ ვალტერ ძენგამ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ ჩაიბარა. შეგახსენებთ, რომ 60 წლის სპეციალისტმა ცოტა ხნის წინ ბუქარესტის „სტიაუას“ თავკაცის პოსტი დატოვა. ვარაუდობდნენ, რომ ძენგა „კიევოს“ მთავარი მწვრთნელი გახდებოდა, მაგრამ მან ხელრბულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შოტლანდიურმა „დანდიმ“ „არსენალის“ ყოფილი და „ბრაიტონის“ ამჟამინდელი კარის დარაჯი რამი შაბანი ინათხოვრა. დანდელები დიდხანს ცდილობდნენ პერსპექტიული გოლკიპერის ხელში ჩაგდებას და საბოლოოდ მიზანს მიაღწიეს. მომავალ ხაფხულს ეცემ „დანდიმ“ შაბანის კონტრაქტი ბოლომდე გამოისყიდოს.

ფინეთი

ვეიკაუსლიგა
გადადებული მატჩი
იარო 1:3 ტამპერე

მიუპა	14	9	4	1	24:7	31
ჰიკ	14	7	7	0	20:10	28
ჰაკა	14	6	7	1	21:8	25
ტამპერე	12	6	4	2	17:10	22
ინტერი	11	5	5	1	15:3	20
კტპ	14	5	4	5	19:20	19
ალიანსი	13	3	8	2	13:18	17
მარიეჰამნი	13	4	4	5	12:14	16
ტურკუ	13	4	3	6	12:15	15
როვანიემი	15	3	6	6	15:22	15
ლაჰტი	15	4	3	8	19:27	15
კუოპიო	14	4	2	8	15:25	14
ტპ 47	14	2	2	10	9:18	8
იარო	14	1	5	8	5:19	8

შვედეთი

ალსვენსკა. XIV ტური
გიოტებორგი 0:1 გეფლე

იურგორდენი	14	9	3	2	31:15	30
მალმიო	14	8	2	4	17:13	26
ჰელსინგბორგი	14	8	2	4	22:19	26
გიოტებორგი	13	6	5	2	17:9	23
კალმარი	14	6	5	3	13:9	23
ჰეკენი	14	7	1	6	22:16	22
ელფსბორგი	14	6	4	4	21:19	22
ჰამარბი	14	6	3	5	20:15	21
ჰალმსტადი	14	5	3	6	19:19	18
იორგრიტე	14	4	2	8	16:22	14
გეფლე	13	4	1	8	10:18	13
ლანდსკრონა	14	3	4	7	14:29	13
სუნდსვალი	14	3	2	9	14:26	11
ასირისკა	14	3	1	10	10:17	10

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. II ტური

ტიროლი — რაპიდი 0:3; შტურმი — ადმირა 2:1; პაშინგი — რიდი 0:0; ზალცბურგი — მატერსბურგი 4:0; აუსტრია — გრაცერი 3:2

შტურმი	2	2	0	0	5:3	6
აუსტრია	2	2	0	0	5:3	6
ზალცბურგი	2	1	0	1	5:3	3
რაპიდი	2	1	0	1	5:3	3
გრაცერი	2	1	0	1	5:4	3
პაშინგი	2	0	2	0	0:0	2
რიდი	2	0	2	0	0:0	2
ტიროლი	2	0	1	1	0:3	1
მატერსბურგი	2	0	1	1	0:4	1
ადმირა	2	0	0	2	2:4	0

შვეიცარია

სუპერლიგა. II ტური

ივერდონი 0:3 იანგ ბოისი

იანგ ბოისი	2	2	0	0	6:1	6
ციურიხი	1	1	0	0	3:1	3
თუნი	1	1	0	0	2:0	3
გრასჰოპერი	1	1	0	0	3:2	3
ბაზელი	1	1	0	0	1:0	3
შაფჰაუზენი	1	0	0	1	0:1	0
ჭსამაჭსი	1	0	0	1	1:3	0
სენტ გალენი	1	0	0	1	1:3	0
აარაუ	1	0	0	1	0:2	0
ივერდონი	2	0	0	2	2:6	0

რუსეთი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ცსკა 2:0 ტორპედო

ლოკომოტივი	18	10	8	0	26:4	38
ზენიტი	17	8	5	4	27:16	29
ცსკა	15	8	4	3	23:7	28
რუბინი	16	7	6	3	19:15	27
მოსკოვი	15	7	5	3	17:8	26
სპარტაკი	16	7	4	5	27:19	25
დინამო	16	7	1	8	18:25	22
სატურნი	16	5	5	6	11:10	20
ტორპედო	16	4	7	5	16:14	19
კრილია	17	4	7	6	15:22	19
შინიკი	16	3	8	5	10:14	17
ალანია	16	4	5	7	12:22	17
ტომი	16	3	7	6	9:15	16
ამკარი	16	2	10	4	11:19	16
ტერეკი	16	3	3	10	9:25	12
როსტოვი	16	2	5	9	9:24	11

აშშ

მეიჯორ სოკერ ლიგა
გადადებული მატჩები

კოლუმბუსი 1:0 ნიუ იორკი
კანზასი 1:1 ვაშინგტონი
კოლორადო 1:2 სან ხოსე

რეკლამა
სარგბილ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

კაცი, რომლისთვისაც ყველაფერი სულერთია

დიდიე დროგბა ერთი წლის წინ „მარსელიდან“ „ჩელსიში“ გადავიდა — 45 მილიონ ამერიკულ დოლარად — და გაუმართლა, პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული მოიგო. ნეტავ, რა იქნება შემდეგი? არა, „ჩელსისა“ და ჩემპიონთა ლიგაზე ნუ იფიქრებთ, ამჯერად სხვა რაღაცის თქმა გვინდა. ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეიძლება ფიქრს ნიადაგ ერთი მიმართულებით მივყავდეთ?! მოკლედ, ამჯერად, იმის თქმა გვინდა, რომ სულაც არაა გამორიცხული მალე დიდიე დროგბა გახდეს პირველი ვარსკვლავი, რომელზეც იტყვიან სპილოს ძვლის ნაპირის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანაო. ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ ქართულად გთავაზობთ, ამ და სხვა საინტერესო საკითხებს ეხება

— როგორი შეგრძნებაა, როდესაც 45 მილიონ დოლარს გაფასებენ?

— მე თუ მკითხავთ, განსაკუთრებული არაფერი. ერთადერთი, რასაც ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს ის არის, რომ ახალ კლუბში გადავედი და ვიცი, ყველა ღონე უნდა ვიხმარო, რათა ხალხს ჩემი კარგი ფეხბურთელობა დავანახო. რაც შეეხება იმას თუ რამდენი გადაუხადა ერომა გუნდმა მეორეს ჩემს შესაძენად, ეს ჩემი პრობლემა არ არის.

— გასაგებია, რომ „ჩელსის“ გაღებული თანხა თქვენ არ დაგიდგენიათ და ამ თვალსაზრისით ტრანსფერზე არანაირად არ ხართ პასუხისმგებელი, მაგრამ ვფიქრობთ, ძნელია შთამბეჭდავი რიცხვის გონებიდან ამოგდება და მხოლოდ ბურთზე გადართვა.

— არ არის ძნელი, ადვილია, ვინაიდან ფეხბურთი მხოლოდ და მხოლოდ თამაშია და მეტი არაფერი. სხვა კი, ყველაფერი, რაც გარშემო ხდება სხვისი სადარდებელია. თუ ჩემი სატრანსფერო ფასი დიდია, ესე იგი წინა სეზონში კარგად მითამაშია. ერთადერთი, რაზე ზრუნვაც ჩემი საქმეა, დონის შენარჩუნებაა. თავს არაფერს ვაძალებ, ფეხბურთი კი ძალიან ადვილი რამაა.

— მართლა ადვილია?

— ჰო, ეს ხომ თამაშია, ჩვენი გართობა. ფეხბურთით სიამოვნების მიღებაზე ადვილი არაფერია, დანარჩენი კი სულერთია.

— ინგლისში ცხოვრებაც ადვილია? შეადარეთ ინგლისში ცხოვრება სპილოს ძვლის ნაპირსა და საფრანგეთში ცხოვრებას.

— თავიდან ცოტა მართლა გამიჭირდა, რადგან ლონდონში რომ ჩავედი გადაღლილი გახლდით. ახალი ცხოვრების დაწყება, როდესაც ჯანის მხოლოდ სამოც პროცენტს იყენებ, ძალიან ძნელია. შემდეგ კი გავიდა რამდენიმე თვე და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. განა დიდებული არ არის, რომ პირველსავე პრემიერლიგურ სეზონში ინგლისის ჩემპიონიც გავხდი და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც გავედი.

— რა გამოდგა ინგლისურ ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო?

— ინგლისურის სწავლა. უმთავარესია თანაგუნდელებთან სრულყოფილი ურთიერთობა დაამყარო და ბედნიერი ვარ ამას რომ ვახერხებ. არც ჩემს შვილებს აქვთ ხალხთან სხვა ენაზე ურთიერთობის შესაძლებლობა და ეს მათთვის მშვენიერია. საერთოდაც, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემი ოჯახი აქ თავს კარგად გრძნობს. ცხადია, თუ ჩემი ოჯახის წევრები ბედნიერები იქნებიან, მეც ბედნიერად ვიგრძნობ თავს.

— „ჩელსიში“ გადასვლის წინ საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს. ეს, ალბათ, თქვენთვის დიდი მიღწევა იყო.

— ყველაფერი, რაც 2004-ში გავაკეთე დიდებული იყო, რადგან ორი წლის წინ ჩემზე უბრალოდ არავინ ლაპარაკობდა. დღევანდლამდე კი დაჟინებულმა მუშაობამ მომიყვანა. თუ ბევრს მუშაობ, აუცილებლად ბევრსაც მიაღწევ.

— მაგრამ „ჩელსიში“ გადასვლის შემდეგ ერთი-ორჯერ ტრავმამ გამოგთიშათ საქმიდან. ძნელი იყო ამ პერიოდების გადატანა?

— არა, არ გამჭირვებია, რადგან ვიცოდი, რომ ეს ჩემი წინა გუნდისთვის გაკეთებული დიდი საქმის „საფასური“ იყო. ტრავმები ორისამი დაუსვენებელი სეზონის შედეგი გახლდათ, ადამიანის ორგანიზმს კი პერიოდულად დასვენება სჭირდება. თან, „ჩელსისაც“ ბევრი ძნელი მატჩი ჰქონდა, რომელთაც თავისთავად მოიტანეს ეს ტრავმები.

— ჟოზე მაურინიუზე რას ფიქრობთ? ის საკუთარ თავში მეტისმეტად დაჯერებული კაცია. თქვენშიც ასეთსავე თვითდაჯერებას აღძრავს?

— დიახ. „ჩელსიმდეც“ კი, როდესაც ვხედავდი, ჩემში საკუთარი ძალების რწმენას აღვივებდა. საერთოდაც, როდესაც გყავს მწვრთნელი, რომელსაც შენი სწამს, გამარჯვება იოლია. ჟოზეს ჩვენი გუნდის ყველა ფეხბურთელისა სწამს და დარწმუნებულია, რომ ყველაფრის მოგება შეგვიძლია. ასეთ ვითარებაში ჩვენ მხოლოდ საკუთარი თავისთვის კი არა, მისთვისაც ვთამაშობთ.

— რას ნიშნავდა თქვენთვის ინგლისის ჩემპიონის ტიტულის მოგება? „ჩელსის“ იგი 50 წელიწადი არ მოეგო. იცით, რა მოვლენა იყო ეს ფანებისა და კლუბისთვის?

— ლიგის თასი რომ მოვიგეთ, პირველად ატმოსფერო მაშინ ვიგრძენით, მაგრამ ინგლისის ჩემპიონობამ იმ ემოციას, ბუნებრივია, დიდად გადააჭარბა.

— თქვენ სამშობლოში ხუთ წლამდე ცხოვრობდით, მერე კი საფრანგეთში, ბიძათქვენთან, მიშელ დროგბასთან გადაბრძანდით. მიშელ დროგბა ახალგაზრდობაში პროფესიონალი ფეხბურთელი იყო..

— ის ჩემთვის მეორე მამა იყო. დღეს თუ რამ ვარ, მისი დამსახურებაა. იგი ჩემით ამაყობს და მე ამით ბედნიერი ვარ.

— იმთავითვე გწამდათ, რომ თქვენი საფეხბურთო კარიერა წარმატებული იქნებოდა?

— მაშინაც კი მწამდა, როდესაც უსერიოზულესი ტრავმები მაწუხებდა. ეს იყო ჩემი მენტალიტეტის შედეგი. რაც უნდა მომხდარიყო, მაინც ჩემსას ვამბობდი და სხვანაირ ცხოვრებაზე არც ვფიქრობდი. პრობლემების გამო ნერვიულობა არ მჩვევია.

— და, კარიერა მართლა მცველად დაიწყეთ?

— ჰო, მარჯვენა ფრთაზე ვიდექი.

— მერე, როგორ მოხვდით თავდასხმაში?

— როგორ და, ბიძაჩემმა მითხრა თუ კაცს გოლების გატანა გეხერხება წინ უნდა ითამაშოო. იგი ხვდებოდა, გოლები გატანა რომ მეხერხებოდა. დაკუკელი დ[illegible] ბევრი გოლის გატანა [illegible]

— რომელმა მოგებულობამ მოახდინა თქვენს კარიერაზე ყველაზე დიდი გავლენა?

— მარკ ვესტერლიანმა, რომელიც დღეს „ლანსში“ მუშაობს. [illegible] დროზე მან მკითხა გადაიდგამთ თუ არა „ლე ანსში“ და შემდეგ [illegible] ლაფერი გაიღო, რათა ისეთი გაემხდარიყავი, დღეს რომ ვარ. [illegible] ნობამდე კვირაში ორჯერ [illegible] შობდი, მისი გაცხადების შემდეგ ყოველდღე ფეხბურთის შესახებ [illegible] რამე ვიცი, მან ასწავლა.

— ახლა თქვენი ქვეყნის ნაკრებზე გკითხავთ. დღეს ამ გუნდში თქვენს მხარდამხარ თამაშობენ ისეთი ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებიც არიან ბონავენტურა კალუ და არუნა დინდანე. რაზეა ფიქრობთ, სპილოს ძვლის ნაკრების საფეხბურთო ისტორიაში ახლანდელი ნაკრები ყველაზე ძლიერია?

— ეჭვგარეშეა, რომ ახლა ჩვენ გვყავს ფეხბურთელები ისეთი კარგები, როგორიც კარგა ხანია არ გვყოლია, მაგრამ ისიც ფაქტია, [illegible] ჯერ ვერაფერი მოვუგეთ [illegible] მებით, კამერუნისა და [illegible] ფში ეს საქმე ადვილი არ [illegible] მაგრამ დღეს ჩვენ შეგვიძლია [illegible] ვი შეგვიბრძოდეს [illegible] 2006 წლის ჩემპიონატზე [illegible]

— თქვენს ნაკრებს ფრანგი ანრი მიშელი წვრთნის, რომელიც ალბერ საფრანგეთის ნაკრებსაც კი ედგა სათავეში. ის გეხმარებათ საქმიანადმი სწორი მიდგომის ნაძიებლებებაში?

— დიახ. ჩვენს გუნდის [illegible] ლობა სამი წლის წინ [illegible] და ახლა უკვე [illegible] მოცდილება. ჩვენი [illegible] ბის უმეტესობა ევროპის [illegible] ნდებში თამაშობს. [illegible] ვიცით, რასაც ვაკეთებთ.

— რამდენადაც ვიცით, თქვენ შეგეძლოთ საფრანგეთის ნაკრებში თამაში აგერჩიათ. საფრანგეთში ამდენი წლის ცხოვრების შემდეგ, რატომ ამჯობინეთ სპილოს ძვლის ნაპირის ნაკრები?

— ასეთი არჩევანი ძალიან [illegible] ტივი მიზეზის გამო გავაკეთე — მე კოტ დივუარელი ვარ ნაკრებში საოცარ[illegible] ნაკვეთი, ისეთი ვრძნობა [illegible] ოთქოს სამშობლოდან [illegible] არსად გაესულიყავი.

— თქვენ შვიდშვილიან ოჯახში უფროსი ვაჟი ხართ. რიგორი გრძნობაა მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრობა?

— მე ვიტყოდი ეს [illegible] პასუხისმგებლობაა. საბედნიეროდ ჩემი ძმები ძალიან კეთილი [illegible] ნები არიან, ხოლო მშობლებმა ჩვენ ყველანი კარგად გაგვზარდეს.

— ბოლო წლებში თქვენს სამშობლოში რთული პოლიტიკური ვითარებაა. ეს გაღელვებთ?

— მაღელვებს, რადგან ჩემი ძალი კულტურაა, იქაური და ფიანსული მართალია, კარგად ვერ გამიგია [illegible] ხდება იქ, მაგრამ მინდა [illegible] რი მალე და დასრულდეს.

— თქვენ სამი შვილის მამა ხართ. როგორ ანაწილებთ დროს ფეხბურთსა და შვილებს შორის?

— ამწუთას შვილების დროს ვერ ვუთმობ, მაგრამ რამდენიმე წელიწადში ყველაფერი სხვანაირად იქნება.

სარგებელი: კროკ

წარმოგიდგენთ

ავსტრია. I დივიზიონი

22 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	11	ლინცერი-ალტახი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
21:00	12	აუსტრია(ლ)-ურატორნი	1.40	3.70	6.80	1.01	1.16	2.39
21:00	13	შვანენშტადტი-კაფენბერგი	2.75	3.00	2.35	1.43	1.26	1.31
21:00	14	ლეობენი-კერნტენი	3.10	3.20	2.10	1.57	1.25	1.26
21:00	15	აუსტრია(მ)-კუფშტაინი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31

შვეიცარია

სუპერლიგა

22 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	17	თუნი-ბახელი	2.70	3.00	2.45	1.42	1.28	1.34

23 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	18	შაფკაუსენი-ქსამაქსი	2.20	3.00	3.10	1.26	1.28	1.52
21:30	19	აარაუ-სტ.გალენი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57

24 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	20	ციურიხი-ერასკოპერი	2.45	3.10	2.60	1.36	1.26	1.41

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

23 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	21	მეირინი-ბადენი	2.15	3.20	2.80	1.28	1.21	1.49
21:30	22	კონკორდია-ბოლმი	1.95	3.30	3.20	1.22	1.21	1.62
21:30	23	შო დე ფონი-კიასო	2.35	3.20	2.55	1.35	1.22	1.41
19:30	24	ვილი-კრინსი	2.15	3.20	2.85	1.28	1.22	1.50
21:30	25	სიონი-ლოზანა	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
21:30	26	ლუგანო-ლოკარნო	1.55	3.50	4.90	1.07	1.17	2.04
19:30	27	ვინტერთური-ვადუცი	2.95	3.20	2.15	1.53	1.24	1.28
21:30	28	ლუცერნი-ვოლენი	1.60	3.60	4.60	1.10	1.18	2.01
21:30	29	ბელინცონა-იუვენტუსი	1.80	3.40	3.50	1.17	1.18	1.72

რუსეთი

23 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:00	31	მოსკოვი-ლოკომოტივი	3.60	3.00	2.00	1.63	1.28	1.20
15:00	32	შინიკი-როსტოვი	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
15:00	33	ამკარი-სატურნი	2.55	2.90	2.70	1.35	1.31	1.39
15:00	34	რუბინი-სპარტაკი	2.80	2.90	2.45	1.42	1.30	1.32
15:00	35	კრილია-ტერეკი	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
15:00	36	ზენიტი-ალანია	1.40	3.60	8.00	1.00	1.19	2.48

24 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:00	37	ცსკა-ტომსკი	1.20	5.50	10.00	1.00	1.07	3.54
15:00	38	ტორპედო-დინამო	2.80	2.90	2.50	1.42	1.32	1.34

უკრაინა

22 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	234	დინამო-სტალი	1.03	8.00	15.00	1.00	1.00	5.21

პოლონეთი

24 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	39	არკა-ლეგია	4.00	3.20	1.75	1.77	1.21	1.13

სლოვაკეთი

23 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	40	ინტერი-ბ.ბისტრიცა	2.40	3.00	2.70	1.33	1.27	1.42
20:00	41	ნიტრა-პეტრუალკა	2.55	3.00	2.45	1.37	1.24	1.34
22:00	42	ტრნავა-რუჟომბეროკი	2.00	3.10	3.20	1.21	1.23	1.57
20:00	44	პუხოვი-ჟილინა	2.65	3.10	2.35	1.42	1.24	1.33

ხორვატია

23 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:30	46	ციბალია-დინამო	4.30	3.40	1.65	1.89	1.19	1.11
20:00	48	მედიმურიე-ინტერი	2.65	3.10	2.40	1.42	1.25	1.35
22:00	49	რიეკა-პულა	1.35	4.20	6.50	1.02	1.11	2.55

ნორვეგია

ტიპელიგა

23 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	68	მოლდე-ბრანი	2.80	3.30	2.30	1.51	1.26	1.35
21:00	69	ვოლერენგა-ჰამარი	1.50	3.70	6.50	1.06	1.21	2.35

24 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	70	ფრედრიკსტადი-ლინი	2.25	3.30	2.85	1.33	1.25	1.52
20:00	71	ტრომსიო-ოდ ვრენლანდი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
20:00	72	ბოდიო გლიმტი-ვიკინგი	2.60	3.30	2.45	1.45	1.26	1.40
22:15	73	ალესუნდი-რუსენბორგი	5.00	3.90	1.55	2.19	1.18	1.10

25 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	74	ლილესტრიომი-სტარტი	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79

შვედეთი

ალსვენსკა

24 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	80	სუნდსვალი-ჰელსინგბორგი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35

25 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	81	იორგრიტე-კალმარი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
21:00	82	ვეფლე-ჰამარბი	3.20	3.30	2.00	1.62	1.23	1.24
21:00	83	ელფსბორგი-ასირისკა	1.35	4.10	7.50	1.01	1.14	2.65

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. სუპერლიგა						
		23 ივლისი						
18:00	85	ვესბი-ფალკენბერგი	1.75	3.40	4.20	1.15	1.23	1.87
18:00	86	ნორჩიოპინგი-იოსტერსი	2.10	3.30	2.95	1.28	1.22	1.55
18:00	87	ფრიოლუნდა-ტრელებორგი	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
		ფინეთი						
		23 ივლისი						
17:00	91	იარო-კუოპიო	2.25	3.20	2.70	1.32	1.22	1.46
		24 ივლისი						
20:00	92	მარიეჰამნი-ჰიკ	3.30	3.20	1.95	1.62	1.22	1.21
20:00	93	ტპ 47-კტპ	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
20:00	95	ჰაკა-ტურკუ	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
		ისლანდია						
		24 ივლისი						
23:15	98	რეიკიავიკი-კეფლავიკი	2.25	3.10	2.75	1.30	1.23	1.45
20:00	99	ვესტმანაოეიარ-ფუარფორდერი	4.50	3.40	1.60	1.93	1.18	1.08
		25 ივლისი						
23:15	100	თროტური-ფრამი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
		ირლანდია						
		22 ივლისი						
22:45	102	დერი-დუბლინი	1.65	3.30	4.60	1.10	1.21	1.92
22:45	103	სტ.პატრიკსი-უოტერფორდი	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
22:45	104	ბოჰემიანი-დროგედა	2.00	3.10	3.20	1.21	1.23	1.57
22:45	105	კორკი-შემროკი	1.40	3.80	6.30	1.02	1.14	2.37
22:45	106	ბრეი-შელბურნი	3.40	3.00	2.00	1.59	1.25	1.20
		23 ივლისი						
22:30	107	ლონგფორდი-ჰერპსი	1.60	3.40	4.70	1.08	1.19	1.97
		იაპონია						
		23 ივლისი						
13:00	110	ჰიროსიმა-ვერდი	1.55	3.60	4.80	1.08	1.17	2.05
13:30	111	ომია-კაშიმა	2.70	3.20	2.25	1.46	1.22	1.32
13:30	112	ტოკიო-კობე	1.65	3.40	4.20	1.11	1.18	1.87
13:30	113	იჩიჰარა-კავასაკი	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
14:00	114	იოკოჰამა-კაშივა	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
14:00	115	გამბა-ჩერეძო	1.75	3.30	3.80	1.14	1.19	1.76
14:00	116	შიმიცუ-ურავა	2.45	3.00	2.55	1.34	1.24	1.37
		24 ივლისი						
14:00	117	ნაგოია-ივატა	2.45	3.00	2.55	1.34	1.24	1.37
14:00	118	ოიტა-ნიიგატა	2.05	3.20	3.00	1.24	1.21	1.54
		აშშ						
		22 ივლისი						
23:45	122	ჩივასი-ნიუ ინგლენდი	3.50	3.20	1.90	1.67	1.23	1.19
		23 ივლისი						
23:45	123	ლოს ანჯელესი-ვაშინგტონი	2.00	3.10	3.30	1.21	1.24	1.59
23:45	124	კოლამბუსი-კანზასი	2.50	3.20	2.45	1.40	1.23	1.38
23:45	125	კოლორადო-ჩიკაგო	2.75	3.00	2.35	1.43	1.30	1.31
23:45	126	სოლტ ლეიკი-დალასი	3.10	3.00	2.10	1.52	1.25	1.25
23:45	127	სან ხოსე-ნიუ იორკი	2.05	3.20	3.00	1.24	1.21	1.54
		ჩილე						
		22 ივლისი						
23:45	242	უინდერერსი-დ.კონსეპსიონი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		23 ივლისი						
23:00	243	უაჩიპატო-პალესტინო	1.75	3.40	3.80	1.15	1.19	1.79
23:45	244	კობრელოა-მელიპილა	1.40	4.00	5.90	1.03	1.13	2.38
23:45	245	კოლო კოლო-სერენა	1.45	3.80	5.80	1.04	1.15	2.29
23:45	246	უნ.კატოლიკა-კოკიმბო	1.35	4.00	6.60	1.00	1.12	2.49
		24 ივლისი						
23:30	247	რეინჯერსი-პუერტო მონტი	1.65	3.40	4.30	1.11	1.19	1.89
23:30	248	უ.კონსეპსიონი-ეკვერტონი	2.20	3.20	2.75	1.30	1.22	1.47
23:45	249	ტემუკო-ანდაქსი	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
23:45	250	სან ფელიპე-უნ.ჩილე	3.30	3.20	1.95	1.62	1.22	1.21
		გერმანია. თასი						
		23 ივლისი						
17:30	205	ვერდერი-ლევერკუზენი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
20:15	206	ჰერტა-შტუტგარტი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
		შვედეთი. თასი						
		22 ივლისი						
21:00	208	ოლმე-იურგორდენი	9.00	4.80	1.20	3.13	1.05	1.06
		ჩოგბურთი კაცები ამერსფურტი						
		22 ივლისი						
13:00	483	კალერი-ვან გემერდენი	1.35	2.60				
13:00	484	მასუ-სანჩესი	1.45	2.30				



სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

იტალიამდე დიღმეა
ნაკრები არაოფიციალურად შეიკრიბა

გშრომ დოლუხანოვის ფოტო

კალათბურთის ფედერაციისა და ნაკრების თავკაცები: ბესიკ ლიპარტელიანი და გორდონ ჰერბერტი

ორშაბათს საქართველოს ეროვნული ნაკრების ის კანდიდატები, რომლებიც თბილისში არიან, „დინამოს“ ბაზაზე შეკრიბებიან და სანამ პირველ ავგისტოს იტალიაში წავლენ, ნუგზარ კანდელაკისა და დავით უსტიაშვილის ხელმძღვანელობით ივარჯიშებენ. თუმცა ისინი უკვე ვარჯიშობენ იმ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით, რომელიც მათ ნაკრების მწვრთნელთა შტაბისგან მიიღეს. იტალიაში ჩვენს ეროვნულ გუნდს ახალდანიშნული მწვრთნელები დახვდებიან — გორდონ ჰერბერტი და კიმ შილდსი ქართველებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩავლენ დაბა ბორმიოში. ნაკრების გეგმებზე კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი გვესაუბრება.

— ნაკრების კანდიდატებს უკვე დაურიგდათ ინდივიდუალური პროგრამები და თითქმის ყველა ვარჯიშობს — ზოგი 10 დღეა, ზოგიც ერთი კვირა. ერთი ნაწილი თბილისში, „დინამოს“ ბაზაზე ემზადება, დანარჩენები კი რუსთავში ვარჯიშობენ. ორშაბათიდან ყველა ერთად შეიკრიბება „დინამოზე“ და სანამ იტალიაში გაემგზავრებიან, ნუგზარ კანდელაკისა და დავით უსტიაშვილის ხელმძღვანელობით მოემზადებიან.

— რამდენი კანდიდატი შეიკრიბება თბილისში და ისინი თუ ვარჯიშობენ ინდივიდუალურად, რომლებიც საქართველოში არ იმყოფებიან?

— ნაკრების ყველა კანდიდატს დაურიგდა ინდივიდუალური პროგრამა და ვისაც ტრავმა არ აწუხებს, ყველა ვარჯიშობს. თბილისში დაახლოებით 10 კაცი შეიკრიბება, ამჟამად კი 12 კანდიდატი ვარჯიშობს (ირაკლი კვიდია, ვლადიმერ და ანატოლი ბოისა, კოტე ტულუში, დავით უგრეხელიძე, ირაკლი ბერიშვილი, გიორგი ცინცაძე, გიორგი მდივანი, სერგო ათუაშვილი, დავით საყვარელიძე, ლაშა გამყრელიძე, დავით იმნაძე). თბილისურ შეკრებას ის დანიშნულება აქვს, რომ გუნდი იტალიაში მომზადებული ჩავიდეს.

— ტრავმირებულთა ამბავი როგორაა?

— ნიკა ცქიტიშვილმა, მოგეხსენებათ, ხელის მტევნის ძვალი მოიტეხა და როგორც ექიმებმა თქვეს, 12 აგვისტომდე ბურთით ვერ ივარჯიშებს. მანამდე ნიკა ამერიკაში იქნება, ტრავმას მოიშუშებს და თან შეეცდება, გუნდი გამოძებნოს. თუმც, როგორ დღეს გავიგე, ცქიტიშვილი „მინესოტა ტიმბერვულვზთან“ აფორმებს კონტრაქტს. ის ნაკრებს სავარაუდოდ გერმანიაში შეუერთდება, სადაც ჩვენი გუნდი იტალიიდან ჩავა. პირდაპირ გერმანიაში ჩავა შემონდ უილიამსი და ეგებ ვოვა სტეფანიაც.

— სტეფანიას თამაში სათუოა?

— ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. ის უკვე აუზზე დადის და ყავარჯნებიც გადაადგო, თუმც დარწმუნებული არ ვარ, რომ თამაშს შეძლებს.

— ვიქტორ სანიკიძე და მანუჩარ მარკოიშვილი?

— მათი თამაში გამორიცხულია. ორივე ოპერაციას იკეთებს და ერთ თვეში ფორმის აღდგენას ვერაფრით მოახერხებენ. რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას და შიო ხეცურიანს, ისინი ნაკრებს იტალიაში დახვდებიან.

ირაკლი პერტაია

სტეფანია: კალათბურთამდე შორია
ვოვას ნაკრებში თამაში სურს

გშრომ დოლუხანოვის ფოტო

სასექტემბრო გადამწყვეტი მატჩებისთვის ნაკრებს სულ ცოტა, ორი კალათბურთელი გამოაკლდება — ვიქტორ სანიკიძე და მანუჩარ მარკოიშვილი. თუმც ბევრად გამოცდილი ვლადიმერ სტეფანიას თამაშიც სათუოა. ვოვამ ქრონიკულად მტკივანი და არაერთხელ ნაოპერაციევი მუხლის მკურნალობა ქართველ ექიმებს მიანდო. თუ როგორ მიდის სტეფანიას გამოჯანმრთელების პროცესი, მასთან საუბრიდან შეიტყობთ...

— ერთ თვეზე მეტია, თბილისში ხარ და ფეხს მკურნალობ. უკეთესობას თუ გრძნობ?

— გამოჯანმრთელების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, საგრძნობი უკეთესობაც ნათელია, მაგრამ კალათბურთამდე ჯერ კიდევ შორია.

— უკეთესობაში რას გულისხმობ?

— ყავარჯნებს აღარ ვხმარობ, აუზშიც ვცურავ, მაგრამ ვერ დავრბივარ. თავს ძალას არ ვატან, თორემ რომ მოვინდომო, ეგებ ვირბინო კიდეც. არ მინდა, ნაადრევად დავტვირთო ფეხი, სანამ ბოლომდე არ მომირჩება, თორემ თუ კიდევ დავიშავებ, დიდი შანსია, ხეიბრად დავრჩე.

— მაინც, რას ფიქრობ, სასექტემბროდ მზად იქნები?

— ძალიან მინდა, რომ ნაკრების თამაშებისთვის მწყობრში ვიყო. ამისთვის ყველაფერს ვაკეთებ, დღედაღამ ვვარჯიშობ და რა გამოვა, მალე გამოჩნდება. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი.

ირაკლი პერტაია

კოკაის ბულგარული ეცხარა

2005 წლის მეოთხე ტრადიციული ბაშოს ბოლოვადე ასპარეზობა ტურიღა რჩება. იმპერატორის თასის უმთავრესი ფავორიტი კი ორიღაა: იოკოძუნა ასასიორუ და კომუსუბი კოტოოსიუ. ჯობდა ლიდერი მარტო ასასიორუ ყოფილიყო, რამეთუ ბულგარელმა კოტო-ევროპამ ბოლო ტურში ჩვენებურ სეკიტორ ლევან ცაგურიას აჯობა და დიადი მონღოლის მხარდამხარ დგომაც ამით გაინაღდა.

ერთი დღით ადრე თავად იოკოძუნას „წამქცევმა“ კოკაიმ ბალკანელ გულივერად წოდებულ კოტოოსიუსთანაც ჩვეული ცუპარებით ღაიწყო და ეს ორმეტრიანი კაცი სტარტზევე არენის პირთან მიამწყვდია, მაგრამ უეცრად ბულგარელი გვერდზე გაექცა, თან ჩვენებურის ქამარს ჩაეჭიდა და იმდენი ქნა, ფეხი არენის მიღმა გადაადგმევინა.

ახლა კოკაის ანგარიშზე 8 მოგება და 4 წაგებაა და მას ჩემპიონობის თეორიული შანსიღა შერჩენია. ერთი ქულით მეტი აქვთ ექსსეკოვაკე ვაკანოსატოს, ოძეკი კაიოსა და დასავლეთის მე-11 მაეგაჩარა ტაკამისაკარის.

ოთარ მაღლაკელიძე

ჰოკეისტთა ლიგა გაჯანმრთელების გზაზეა

ნჰლ-ის ახალი კოლექტიური შეთანხმება ჯერ არ არის რატიფიცირებული, მაგრამ ლიგის და კლუბების მესვეურები გულხელდაკრეფილები როდი სხედან, ნელ-ნელა ახალი სეზონისთვის ემზადებიან.

მოგეხსენებათ, ნჰლ-ის მოხელეები იმაზეც ფიქრობენ, რომ რამენაირად გაახალისონ თამაში და მასში რაღაც სიახლეები შეიტანონ. უკვე ცნობილია წესებში რამდენიმე ცვლილება და ისიც, რომ ლიგა უფრო „გაჯანმრთელდება.“

მომდევნო სეზონიდან ნჰლ-ში დოპინგ-კონტროლს შემოიღებენ და დამნაშავეებს უმკაცრესად დასჯიან. შეგახსენებთ, რომ აქამდე ტესტირებას მხოლოდ ის ჰოკეისტები გადიოდნენ, რომლებიც თავად გამოთქვამდნენ ნარკოტიკებზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლების სურვილს. ჰოკეისტებს იმდენად პროფესიონალებად თვლიდნენ, რომ ფიქრობდნენ, ეგენი თავიანთ პრობლემებს თავადვე გაუმკლავდებიანო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ყველა მთავარმა ამერიკულმა ლიგამ შემოიღო დოპინგ-კონტროლი, ნჰლ-შიც დაფიქრდნენ ამაზე და შედეგად ახალი კანონი მივიღეთ.

მაშ ასე, ყველა მოთამაშე წლის განმავლობაში ორჯერ გაივლის ტესტს, თანაც წინასწარ გაუფრთხილებლად. პირველი დარღვევის შემთხვევაში ჰოკეისტი ოცმატჩიან დისკვალიფიკაციას მიიღებს. ხელმეორედ ჩავარდნისას დასჯა 60 თამაშამდე გაიზრდება, ხოლო თუ მოთამაშეს მესამედ გამოიჭერენ, მაშინ მას სამუდამოდ აეკრძალება ნჰლ-ში ასპარეზობა.

„ეს საკითხი ალბათ ერთიანერთია, რომელშიც საკამათო არაფერი იყო. ჩვენ ამ მხრივ პრობლემები არასდროს გვქონია და, იმედია, არც გვექნება“ — თქვა პროფკავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა ტედ სასკინმა.

თავის მხრივ კლუბებშიც გამოცოცხლება შეიმჩნევა. ამ დღეებში ერთბაშად ორ გუნდში ახალი თავკაცი დაინიშნა. ორივე მოსაღიდნელი იყო. ერთ შემოხვევაში მეჩკვიდრის ვინაობასაც ასახელებდნენ. საუბარი „დეტროიტზეა“, რომლის მთავარ მწვრთნელადაც „ანაჰიმის“ აწ უკვე ყოფილი თავკაცი მაიკ ბებკოკი დაინიშნა. იგი სულ რაღაც ორი წელიწადია, რაც ნჰლ-ში მუშაობს, მაგრამ უკვე მოიპოვა ძლიერი სპეციალისტის სახელი. მოგეხსენებათ, თავის პირველ სეზონში მან „იხვები“ თასის ფინალში გაიყვანა.

რაც შეეხება მეორე ცვლილებას, ადრევე ცნობილი იყო, რომ პეტ ბიორნსის სიმსივნე აღმოაჩნდა და „ნიუ-ჯერსიში“ მოღვაწეობას ვეღარ გააგრძელებდა. ამ დღეებში ახალი თავკაცის ვინაობაც გაირკვა, მომდევნო ჩემპიონატში „ეშმაკებს“ ლარი რობინსონი გაუძღვება. ბევრისთვის ეს ამბავი საკმაოდ მოულოდნელი გამოდგა. იგი 2000 წელს მუშაობდა ამ გუნდში და თასიც მოაპოვებინა, მაშინ ხეზონის შუაგულიდან გაუძღვა მას და უფრო წინამორბედის მიერ დაწყებული საქმე მიიყვანა ბოლომდე. შემდეგ რობინსონი დაითხოვეს, ამჯერად კი კვლავ გაიხსენეს და მწვრთნელობა ანდეს.

სამველ ღარიბიანი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უშბის დალაშქვრისას დაიღუპნენ ცნობილი მთამსვლელები

ზაალ ქიქოძე და **მერაბ ხაბაზი**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებს და ქართულ ალპინისტურ საზოგადოებას.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ქართველი მთამსვლელების

ზაალ ქიქოძისა და **მერაბ ხაბაზის**

კავკასიონის მწვერვალ უშბაზე ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს განსვენებულთა ოჯახებს

ტᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘ 2005. 2-24 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲚᲘᲓᲔᲠᲡ ᲡᲐᲢᲠᲤᲝ ᲩᲐᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ

„ტᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘᲡ“ მეთვრამეტე ეტაპმა გუშინ ალბიში აიღო სტარტი. ქალაქში, რომლის მოსახლეობაც 50 ათასს არ აღემატება, 160 სპორტული კლუბია, სადაც 16 ათასი ადამიანია გაწევრიანებული. ვერფერს იტყვი, უდავოდ საინტერესო ადგილია, მაგრამ არც 189 კმ-ით დაშორებული მენდე გახლავთ ნაკლები. ეგ კი არა, მენდე ორჯერ აღიარეს საფრანგეთის ყველაზე სპორტულ ქალაქად და რაღა გასაკვირია, რომ წლევანდელმა „ტურ დე ფრანსმა“ ამ ორ ქალაქს შორისაც გაიარა.



ლენს არმსტრონგმა შერილ ქროუს ჩასაოცნადაც მოიცალა

მეთვრამეტე ეტაპზე ესპანელმა მარკოს სერანომ იყოჩაღა. ფინიშისწინა ბოლო აღმართზე, რომელზეც მრავალ სპორტსმენს უმტყუნა ძალებმა, სერანომ პედლების ტრიალს უმატა, ლიდერთა ჯგუფს გამოეყო და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. მისი დრო 4 საათი, 37 წუთი და 36 წამია.

27 წამის დაგვიანებით მივიდნენ ფინიშთან ფრანგი სედრიკ ვასო და ბელგიელი აქსელ მერქსი.

არმსტრონგის ჯგუფი ათეულში ვერ მოხვდა, თუმცა ამერიკელმა დასახული ამოცანა მაინც ხუთიანზე შეასრულა.

ლენსმა ფინიშს უახლოეს მდევრებთან ერთად უწია. ივან ბასომ, კადელ ევანსმა და იანს ულრიხმა ამერიკელს თავი ვერ დააღწიეს და მისი დრო დაეწერათ, რის გამოც საერთო ჩათვლაში მათ შორის სხვაობა არ შეცვლილა.



მარკოს სერანო

მესამე ადგილზე დარჩა დანიელი მიკაელ რასმუსენი, თუმცა ზემოხსენებულ აღმართში „არმსტრონგის ოთხეულს“ ჩამორჩა და ახლა საერთო ჯამში უკვე 3 წუთსა და 46 წამს აგებს ლიდერთან.

კიდევ ერთი ამბავი. საფრანგეთში სახელგანთქმული ამერიკელი მომღერალი შერილ ქროუ ჩასულა. ვის საგულშემატკივროდ, ამას ფოტოდან გაიგებთ.

ᲚᲐᲓᲝ ᲤᲣᲚᲣᲫᲘᲫᲔ

მარცხნიდან მარჯვნივ: იან ულრიხი, ივან ბასო, ლენს არმსტრონგი

ᲛᲔᲗᲕᲠᲐᲛᲔᲢᲔ ᲔᲢᲐ�პᲘ. 21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ᲐᲚᲑᲘ-ᲛᲔᲜᲓᲔ. 189 ᲙᲛ

1 მარკოს სერანო (ესპანეთი, ლიბერტი სეგუროსი)	4 სთ 37 წთ 36 წმ
2 სედრიკ ვასო (საფრანგეთი, კოფიდისი)	27 წმ
3 აქსელ მერქსი (ბელგია, დავიტამონ ლოტო)	იგივე დრო
4 ხაბიერ ზანდიო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	1 წთ 08 წმ
5 ფრანკო პელიძოტი (იტალია, ლიკიგას ბიანკი)	იგივე დრო

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქავერი)	77 სთ 44 წთ 44 წმ
2 ივან ბასო (იტალია, სი-ეს-სი)	2 წთ 46 წმ
3 მიკაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი)	3 წთ 46 წმ
4 იან ულრიხი (გერმანია, ტი-მობილი)	5 წთ 58 წმ
5 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	7 წთ 08 წმ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲛᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ



ჩვენი კოლეგა ჯონ სინოტი



პირინეის მთებში „ტურ დე ფრანსის“ სამოყვარულო რბოლაში 8 ათასი ველოსიპედისტი მონაწილეობდა. ერთ-ერთი მრბოლი, ბრიტანელი ჟურნალისტი. ბი ბი სის კორესპონდენტი ჯონ სინოტი ფინიშის ხაზთან 6067-ე მივიდა, მაგრამ მიუხედავად ასეთი საშინელი შედეგისა, თავს მაინც გამარჯვებულად თვლის.

„ᲤᲘᲜᲘᲨᲗᲐᲜ მისულმა ცოლს დავურეკე და ვახარე, რომ უვნებელი ვიყავი — ამბობს სინოტი — ცოლმა ეს ჩემს ექვსი წლის შვილს ახარა და მანაც მიამიტურად იკითხა, „მამამ მოიგო?“ გამეცინა და ყურმილი დავკიდე; მართალია, პირველადგილოსანს საკმაოდ ჩამოვრჩი, მაგრამ ეს ჩემთვის მაინც მოგებაა.

ძალიან მაინტერესებდა, რას განიცდიან მრბოლელები „ტურ დე ფრანსში“ და ამიტომაც მივიღე მონაწილეობა“.

პირველი შთაბეჭდილება, რა თქმა უნდა, სტარტზე იყო:

„ხმა, რომელსაც სტარტზე 8 ათასი სარბოლო ველოსიპედი გამოსცემდა, იყო სიჩქარეების გადამრთველების ჩხაკუნი და 16 ათასი საბურავის შრაშუნი, რაც ავანგარდულ სიმფონიას მაგონებდა“ — წერს სინოტი.

სინოტი ამ რბოლამდე სამი თვე ვარჯიშობდა, მაგრამ აღმართზე სიარული მაინც გაუჭირდა, კოლ დობისკის ხეობაში საშინლად დაიღალა.

„ხეობის სიგრძე 18,5 კილომეტრია, ხოლო დახრილობა 7 გრადუსი. თავიდან გამიადვილდა რბოლა და საათში 17 კილომეტრსაც გავდიოდი, მაგრამ შემდეგ დააცხუნა, ასფალტიც დადნა, ყველაფერი ამტკივდა და სიარული გამიჭირდა“.

რას არ აკეთებდა სინოტი, წინსვლა რომ გაეგრძელებინა. ხან სიჩქარეებს ცვლიდა, ხანაც ფეხზე ამდგარს მიჰყავდა ველოსიპედი და ახალ კომბინაციებს იგონებდა. გასამხნევებლად მან საკუთარ თავთან დაიწყო ლაპარაკი, ოჯახიც გაიხსენა, მაგრამ ტკივილს და დაღლას ვერაფერი მოუხერხა. 7-კილომეტრიან აღმართზე მისმა ბევრმა მეგობარმა გადაწყვიტა დასვენება, მაგრამ სინოტი არ გაჩერებულა, საათში 7 კილომეტრის სიჩქარით გააგრძელა რბოლა და აქოშინებული ჰაერს ნაპირზე გამორიყული თევზივით ყლაპავდა.

„ველოსიპედიდან ჩამოსვლა არ მინდოდა, რადგან, თუ ჩამოვიდოდი, ალბათ აღარც ავიდოდი. ერთი საათის შემდეგ, როგორც იქნა, მწვერვალამდე მივაღწიე. ჩანს, სამთვიან ვარჯიშს ფუჭად არ ჩაუვლია“.

მთიდან დაშვება სინოტს აღარ გასჭირვებია. იგი ქვემოთ საათში 70 კილომეტრის სიჩქარით მიფრინავდა. რბოლა 10 საათში დასრულა და აღნიშნა, რომ ტურ დე ფრანსის ექვსგზის მომგები, ამერიკელი ლენს არმსტრონგი ამ ეტაპს ოთხ საათში ფარავს.

„ასეთია სხვაობა პროფესიონალსა და მოყვარულს შორის“ — დასძინა სინოტმა ბოლოს.

ᲚᲐᲛᲐ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. მონრეალი. 17-31 ივლისი

AFP მონრეალიდან

რუსების სინქრონულად მოცურავეები მონრეალში უბადლონი იყვნენ

მობი დიკი მონრეალში

სანამ მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი გმირები, მოცურავეები გადაეშვებოდნენ აუზში — ეს კი ამ კვირაღლეს მოხდება — და ამერიკიდან და ავსტრალიიდან დაძრული მაოი რჩეული ეშელონები დანარჩენ მსოფლიოს ოქრო-ვერცხლის გარეშე დატოვებდნენ, მონრეალში მთავარ ჯილდოებს ერთმანეთის კანადელები და ჩინელები სტაცებენ. თუმც 20 ივლისს არც კანადელებს შეხვდათ რამე და ჩინელებიც ერთი ბრინჯაოთი დაკმაყოფილდნენ. სამაგიეროდ, ორი ოქრო აშოკნეს ამერიკელებმა, რომლებმაც ადარ მოუცადეს საკუთარ და, ალბათ, მსოფლიოს აუზების ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის მაიკლ ფელპსის გამოჩენას.

ამერიკელთათვის პირველი ოქრო ისევ მოცურავემ მოიპოვა, მხოლოდ არა აუზში, არამედ გაშლილ წყალში. 17 წლის ჩად პიტერსონს სამი დღის წინ ნახევარი წამი დააკლდა 5 კილომეტრზე ცურვაში გერმანელ ტომას ლიუციან დავაში და ვერცხლის მედალს დასჯერდა. 10 კილომეტრზე კი ამ ორმა ადგილები გაცვალა და კვარცხლბეკის ტოპზე ამჯერად ამერიკელი აღმოჩნდა. ამ ჩად პიტერსონის ნამდვილი სახელი ჩარლზი გახლავთ, თუმც ასე არავინ მოიხსენიებს. სანამ ეს ჩემპიონატი დაწყებოდა, რამდენიმე მოცურავემ მას ყველას გასაგონად დასცინა — ეგ ლაწირაკი ვინაა, ჩვენთან რა უნდა, ან ჩაპი რა სახელია, თუმც ამ წარმატებების შემდეგ მსოფლიოს „ლაწირაკ“ ეიცე-ჩემპიონისთვის ეფეგეს ოქმა არავის გაუბედავს. „ბაბარიების მაგვრელები“ ახლისაც არ გაკარებიან მას.

„ეს უდიდესი ხიხარულია ჩემს კარიერაში“ — ამბობს ჩაპი, რომლის საერთაშორისო კარიერაც მხოლოდ მეორე ტურნირს ითვლის.

გუშინწინ მონრეალის აკვატორიაში კაცების მხარდამხარ ქალებმაც მოილიეს 10 კილომეტრი და აქაც 5-კილომეტრიანი გაცურვის პრიზიორმა იმარჯვა. 31 წლის ვეტერანმა ჰოლანდიელმა ედიტ ვან დიკმა სამი დღის წინ გაჭირვებით მოპოვებულ ბრინჯაოს ახლა ოქრო მიამატა — 10 კილომეტრი მან უახლოეს მდევარზე, იტალიელ ფედერიკა ვიტალეზე ორი წამით ადრე გაცურა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე თავისი მე-5 ოქრო და მე-11 მედალი გამოიმუშავა. ასეთი ლატვირული კისერმკერდით მას თავისუფლად შეუძლია თავს პენსიაზე დაფიქრების უფლება მისცეს, თუმც მანამდე, ანუ ხვალ კიდევ 25 კილომეტრზე გამარჯვებასაც ეცდება.

ამერიკელებს მეორე ოქრო ქალმა მოუტანა. 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში 27 წლის სიდნეის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლორა უილკინსონმა სამი დღის წინ კოშკის წყვილებში მომგებ ჩინელ ძია ტონსაც აჯობა, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ კანადელ ემილი ჰეიმანსსაც და ამათზე უკეთ გამოსულ ავსტრალიელ ლოდი თორქისაც, ვინაც ასევე სამი დღის წინ წყვილებში ვერცხლი მოიპოვა. უილკინსონი ითვლებოდა კიდეც ფავორიტად ემილი ჰემანსთან ეროად, მაგრამ კანადელმა ხუთი ცდიდან სადებიუტო ისე უხეიროდ შეასრულა, რომ შემდეგმა თითქმის იდეალურმა ნახტომებმაც ვერ უშველა და მასპინძელთა ჯილაც მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

მედლების პირველი კომპლექტი გათამაშდა სინქრონულ ცურვაში. 10 გოგონასგან შემდგარმა რუსეთის ნაკრებმა ჯგუფური ვარჯიში უდიდესი უპირატესობით მოიგო. რუსებმა თითქმის იდეალურად შეასრულეს ყველა იელეთი — საკალდებულოც და ნებისმიერიც და ათი მსაჯიდან ოთხს უმაღლესი, 10-ქულიანი შეფასება დასტყუეს, დანარჩენ ექვსს კი — 9,9-ქულიანი.

მეორე ტური ჩაადგაფუნეს ვალმა წყალბურთელებმა. „სიკვდილის ჯგუფად“ შერაცხულ ოთხეულში აუტსაიდერი სამხრეთ აფრიკის შედარებით იოლად ძლევის შემდეგ რევაზ ჩომახიძის რუსეთმა იტალიის საკმაოდ ძლიერი გუნდიც დაამარცხა და კიდევ ერთ ფავორიტ ესპანეთთან შეხვედრამდე გაინაღდა მეოთხედფინალის საგზური. წინა მატჩში 3 გოლის მიმთვლელი ჩომახიძე ამჯერად „მშრალად“ ამოვიდა აუზიდან და ეს არცაა დიდი მოულოდნელობა, რაკი ამ დაძაბულ მატჩში ისედაც თითზე ჩამოსათვალელი ოდენობით [illegible] ეფექტური. მეოთხედფინალი დაიბევა ესპანეთმაც, რომელმაც იოლად ჩაძირა აფრიკელები.

რატომღაც ისე გამოვიდა, ოთხიდანე სამ ჯგუფში ორ-ორი რჩეულის შეხვედრები მესამე ტურს დაემთხვა და ამდენად იქ გაირკვა ორ-ორი მეოთხედფინალისტის ვინაობა. B ჯგუფის ყოჩებმა სერბებმა და ამერიკელებმა პირველი ტურის მეტოქეები — იაპონია და კუბა ერთმანეთში გაცვალეს და კვლავ იოლად იმარჯვეს, განსაკუთრებით სერბებმა, რომლებმაც კუბელთა განადგურების შემდეგ ახლა ჩია იაპონელთა კარი ამოავსეს.

C ჯგუფში მასპინძელ კანადას ხორვატთა კვალად ახლა უნგრეთმა უყელა, ხოლო თავად ხორვატებს მეორე გამარჯვება შედარებით მეტ შრომად დაუჯდათ — რუმინეთი კანადაზე ძნელად ასაღები აღმოჩნდა.

მხოლოდ D ჯგუფში დარჩა მკერე რამ გასარკვევი. საბერძნეთმა გერმანია 8:4 დაამარცხა და პროგრამა-მინიმუმი შეასრულა — ორი გამარჯვებით თავი ქუდში, ანუ შემდეგ ეტაპზე აქვს. მეორე მეოთხედ ფინალისტი კი ან ძლეული გერმანია, ან ორი დღის წინ გერმანიის მიერ ძლეული და ამ დღეს ჩინეთის მძლეველი ავსტრალია იქნება.

კოტე ყორშია



AFP მონრეალიდან

კოშკიდან ხტომაში გამარჯვებული ლორა უილკინსონი

ჩაპ პიტერსონმა (მარჯვნივ) 17 ივლისს მოპოვებულ ვერცხლს გუშინწინ ოქრო მიამატა

ღია წყალი

კაცები. 10 კმ

1 ჩაპ პიტერსონი (აშშ)	1:46.38,1
2 ტომას ლიუციი (გერმანია)	1:46.45,2
3 პეტარ სტოიჩევი (ბულგარეთი)	1:46.50,4

ქალები. 10 კმ

1 ედიტ ვან დიკი (ჰოლანდია)	1:56.00,5
2 ფედერიკა ვიტალე (იტალია)	1:56.02,5
3 ბრიტა კამრაუ (გერმანია)	1:56.04,0

წყალში ხტომა

ქალები. 10 მ კოშკი

1 ლორა უილკინსონი (აშშ) ქულა	564.87
2 ლოდი თორქი (ავსტრალია)	551.25
3 ძია ტონი (ჩინეთი)	550.98

სინქრონული ცურვა

ჯგუფური ვარჯიში

1 რუსეთი	99.333
2 იაპონია	97.833
3 ესპანეთი	97.167

წყალბურთი

კაცები. ჯგუფური ეტაპი

II ტური

A ჯგუფი

ესპანეთი 11:4 სამხრეთ აფრიკა

რუსეთი 5:4 იტალია

B ჯგუფი

სერბეთი 17:5 იაპონია

აშშ 13:6 კუბა

C ჯგუფი

ხორვატია 6:4 რუმინეთი

უნგრეთი 11:3 კანადა

D ჯგუფი

საბერძნეთი 8:4 გერმანია

ავსტრალია 11:6 ჩინეთი

მედლების დაფა

	ოქრ	ვერ	ბრ	სულ
აშშ	2	3	1	6
ჩინეთი	2	1	2	5
კანადა	2	0	1	3
რუსეთი	2	0	0	2
გერმანია	1	2	2	5
ჰოლანდია	1	0	1	2
ავსტრალია	0	2	0	2
იტალია	0	1	1	2
იაპონია	0	1	0	1
ბულგარეთი	0	0	1	1
ესპანეთი	0	0	1	1



ნადალმა სტატისტიკა დაიმრგვალა

MERCEDES CUP
შტუტგარტი, თიხნარი
590 ათასი €

მეორე წრე

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — **ჰუგო არმანდო** (აშშ) 6:1 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (2, რუსეთი) — **რუბენ რამირეს იდალგო** (ესპანეთი) 6:4 6:1; **გასტონ გაუდიო** (3, არგენტინა) — **ანდრეას ბეკი** (გერმანია) 6:3 6:3; **ტომი რობრედო** (4, ესპანეთი) — **პოტიტო სტარაჩე** (იტალია) 6:7 (4:7) 6:3 6:2; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) 6:4 6:2; **ირჟი ნოვაკი** (6, ჩეხეთი) — **რაზვან საბაუ** (რუმინეთი) 4:6 6:4 6:0; **რაინერ შუტლერი** (გერმანია) — **მიხაილ იუჟნი** (7, რუსეთი) 7:5 6:3; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — **იურგენ მელცერი** (10, ავსტრია) 6:4 6:7 (4:7) 6:4; **ტომაშ ბერდიხი** (11, ჩეხეთი) — **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) 7:6 (7:5) 6:6 6:3; **ტომაშ ზიბი** (ჩეხეთი) — **ანდრეი პაველი** (12, რუმინეთი) 5:7 6:3 6:4; **ალექსანდრე ვასკე** (გერმანია) — **ხოსე აკასუსო** (13, არგენტინა) 7:5 6:4; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — **იგორ ანდრეევი** (14, რუსეთი) 6:4 5:7 7:6 (7:5); **ანდრეას სეპი** (იტალია) — **ალბერტო მარტინი** (15, ესპანეთი) 6:4 6:4; **პოლ-ანრი მათიო** (16, საფრანგეთი) — **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) 6:3 6:4

საიმისოდ, რათა კარიერის მე-100 და თანაც ზედიზედ 30-ე სათიხნარო გამარჯვება მიეთვალა, 19 წლის ესპანელ ფასკუნჯ რაფაელ ნადალს უსახელო ამერიკელ კვალიფიკანტ ჰუგო არმანდოსთან უმსუბუქესი კეჭაობის გადატანა მოუხდა.

ახლა მას მხოლოდ ერთი თიხნარმოგებაღა აკლია, რათა თიხნარზე ზედიზედ ყველაზე მეტი მატჩის მოგებთა ჩამონათვალში მეორე ადგილზე ბითუმად მდგარ ბიორნ ბორგს, გილერმო კორიასა და მატს ვილანდერს გაუტოლსაფეხურდეს.

პირველი ალაგი კი ამ სიაში განთქმულ ავსტრიელ ტომას მუსტერს უკავია, ვინაც 1995 წლის თებერვლიდან ივნისის ჩათვლით ამ საფარზე ზედიზედ 40 შეხვედრაში იმარჯვა.

ნადალი: „მიხარია, დღეს ასეთ დონეზე რომ ვითამაშე. ფავორიტი? აქ ყველა მოთამაშეს თითქმის თანაბარი შანსები აქვს. თქვენ ფიქრობთ, რომ რაკილა უკანასკნელი ტურნირები მე მოვიგე, აქაც იგივე უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში ყოველი მომდევნო თამაში წინაზე რთულია.“

შეგახსენებთ, რომ ნადალს წლეულს შვიდი თიხნარტურნირი აქვს მოგებული. თიხნარზე კი ბოლოჯერ აპრილში, ვალენსიობის მესამე წრეში დათმო რუს იგორ ანდრეევთან, რომელმაც მერე იმ ტურნირის მოგებაც შეძლო. სულ ნადალის საამსეზონო თიხნარბალანსი 2 მარცხის წილ 45 გამარჯვება გახლავთ და, ბუნებრივია, ამ მაჩვენებლით მას წლეულს ბადალი არა ჰყავს.

THE PRIORITY TELECOM OPEN
ამერსფორტი, თიხნარი
302 ათასი €

პირველი წრე

მარიანო პუერტა (1, არგენტინა) — **იანკო ტიპსარევიჩი** (სდჩ) 6:2 6:2

მეორე წრე

ნიკოლას მასუ (3, ჩილე) — **ირჟი ვანეკი** (ჩეხეთი) 6:4 7:5; **მელე ვან გემერდენი** (ჰოლანდია) — **კრისტოფ როხუსი** (4, ბელგია) 6:2 7:5; **აგუსტინ კალიერი** (არგენტინა) — **ვიკტორ ჰანესკუ** (6, რუმინეთი) 7:6 (7:5) 6:4

ფლევანდელი როლანგაროსობის ფინალისტი მარიანო პუერტა პარიზული სეფეფინალის შემდეგ კორტზე მხოლოდ გასულ შაბათსღა გამოჩნდა, როცა რომ თვისტომ დავიდ ნალბანდიანთან შეჯუფთებულმა დევისობის სამეოთხედფინალო წყვილაობაში ლეიტონ ჰიუიტისა და უეინ ართურსის წყვილი შემუსრა.

ახლა პუერტა ამერსფორტშია და რეიტინგსიის მე-12 ალაგზე მდგომს იანკო ტიპსარევიჩთან მოგების შემდეგ მხოლოდ ერთი გამარჯვებაღა აკლია საიმისოდ, რათა ცხოვრებაში პირველად ამაღლდეს ამქრის ზეათეულში.

RCA CHAMPIOSHIPS
ინდიანაპოლისი, მაგარსაფარი
575 ათასი $

მეორე წრე

ნიკოლას კიფერი (2, გერმანია) — **ანტონი დიუპუი** (საფრანგეთი) 7:5 6:4; **ჯორჯ ბასტლი** (შვეიცარია) — **დომინიკ ჰრბატი** (3, სლოვაკეთი) 6:4 6:7 (6:8) 6:4; **ტაილორ დენტი** (4, აშშ) — **ჟან-მაიკლ გემბილი** (აშშ) 6:3 6:4; **პოლ გოლდშტაინი** (აშშ) — **მაქს მირნი** (6, ბელარუსი) 0:6 6:3 6:3 **პარადორნ შრიჩაფანი** (9, ტაილანდი) — **გრეგორი კარა** (საფრანგეთი) 6:3 7:6 (7:3); **კაროლ ბეკი** (10, სლოვაკეთი) — **იონას ბიორკმანი** (შვედი) 6:4 7:5; **ჯოვანი ლაპენტი** (ეკვადორი) — **სირილ სოლნიე** (11, საფრანგეთი) 6:4 5:7 6:2; **კენეტ კარლსენი** (12, დანია) — **მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი) 7:5 2:6 6:4; **მარდი ფიში** (16, აშშ) — **ენდრიუ მიურეი** (ბრიტანეთი) 6:4 4:6 6:4

კორტისა და ოპერის ვარსკვლავები სიდნეის ოპერაში

გუშინწინ მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა სიდნეის ოპერაში იქორწინა თანამემამულე საპნის ოპერის ვარსკვლავ ბეკ კატრაიტზე. ამ ამბავს 200-ზე მეტი სტუმარი დაესწრო.

სიდნეის ოპერის ირგვლივ უამრავი ჟურნალისტი შეჯგუფულიყო, მათ შიგნით დაცვა არ უშვებდა. სამაგიეროდ, იმ რეპორტიორებს, რომელთა რედაქციებსაც შესაძლებლობა ჰქონდათ შვეულმფრენის დაქირავებისა, უფრო გაუმართლათ.

წესრიგის დამცველებმა, რა თქმა უნდა, შენობის თავზე მოტრიალე შვეულმფრენები ვერ განდევნეს.

ასეთი ფარული ქორწინება შესაძლოა იმით აიხსნას, რომ ჰიუიტს ავსტრალიულ პრესასთან მუდამ რთული დამოკიდებულება ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, ავსტრალიელმა ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ მიწვეული სტუმრები ხელს აწერდნენ დოკუმენტს, რითაც პირობას დებდნენ, ქორწინების ცერემონიალის დეტალებს არ გავახმაურებთო. ჟურნალისტებმა ისიც გაიგეს, რომ სტუმრებს შესვლისას მობილურ ტელეფონებს გარეთ ატოვებინებდნენ. ისიც ცნობილი გახდა, რომ ცერემონიალის შემდეგ ნეფე-დედოფალმა სიდნეის ყურეში იახტით გაისეირნა.

ახალდაქორწინებულების [illegible] კიდევ ერთი ახალი [illegible] მოვლენა ელოდა — [illegible] (თუ ახლა უკვე ჰიუიტი [illegible] ბისას ხეთი თვის [illegible]

ანა გაგვიმატროსდა



ანა კურნიკოვას სახელი კვლავ გამოჩნდა ახალი ამბების სათაურებში. ბოლო თვეს ამ რუსმა ლამაზმანმა მოასწრო ამერიკის საკლუბო ჩემპიონატში გამოსვლა და ორ სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობა. თუ ანა კორტებზე ვარსკვლავობს ვერ წყვეტს, სამაგიეროდ, სარეკლამო აქციებში მისი საქმე რიხინ-რიხანია ასოდ.

თავდაპირველად კურნიკოვა ახალ ზელანდიაში გაემგზავრა, სადაც ლეგენდარული იახტა EMIRATES TEAM ZEALAND 2007 წლის 18 აპრილისთვის დაგეგმილი მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის სასტარტოდ ემზადება. ამ საზეიმო ღონისძიების ცერემონიალზე ანა კურნიკოვა ეკიპაჟის შემადგენლობაში ზარ-ზეიმით ჩარიცხეს. ასევე იქვე კაპიტნისგან რამდენიმე გაკვეთილიც მიიღო.

მერე ანამ ერთ-ერთ ინტერნეტ-მაღაზიაში კურიერად მუშაობა დაიწყო. ჰოდა, ამერიკელ ანდრეა ფაინბერგს მოულოდნელობისგან ენა მუცელში ჩაუვარდა, როცა მის მიერ შეკვეთილი სპორტული ფეხსაცმელი და ჩანთა ყოფილმა ჩოგბურთელმა შინ მიართვა.

ფეხბურთელი, მორაგბე და მათი ქალები

ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელ ეშლი კოულსა და უელსელ მორაგბე გეინ ჰენსონს შორის დაუსწრებელი ენებათაღლეკა, მათი ისტორიის მთავარი მოქმედი გმირები კი არიან ჯგუფ GIRLS ALOUD-ის წევრი შერილ ტვიდი და შარლოტა ჩერჩი. პირველი კოულის მეგობარია, მეორე კი ჰენსონისა.

შერილ ტვიდი და შარლოტა ჩერჩი

სკანდალი შერილ ტიდმა დაატრიალა, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში შარლოტა ჩერჩი დაადანაშაულა პლაგიატობაში და იქვე უნიჭოც უწოდა. კერძოდ, მან თქვა, რომ შარლოტა მუდმივად ვიღაცას ბაძავს და იგივეს აკეთებს, რასაც ის ჯგუფები, რომლებმაც წარმატებას მიაღწიესო. მაგალითად, ტვიდის აზრით შარლოტამ თავიდან ბოლომდე გადაამღერა GIRLS ALOUD-ის რეპერტუარი.

ჩერჩი შერილის პროვოკაციებს დუმილით პასუხობს. თუმცა, ერთხელ წამოსცდა, რომ ხელსაყრელი შემთხვევისას ღირსეულ პასუხს გაცემ ცილისმწამებელსო.

სხვათა შორის, ბრიტანელმა ჟურნალისტებმა გამოქექეს ის ამბავი, რომ ეშლი კოულსა და გეინ ჰენსონს ერთმანეთი ასევე არ ეპატნავებათ. ამის მიზეზი, შესაძლოა, შერილისა და შარლოტას ერთმანეთთან მტრული თუ არა, დაძაბული დამოკიდებულებაა.

გასწით, მერნები

გაიხსნა ჭიშკრები და გაჭენდნენ მერნები დელ მარ ტორუბრიდის ოვალზე, სადღაც კალიფორნიაში. ეს გუნება სამკაულებიანი ბებერი ქალბატონი კი ამ ქურანთავან ერთ-ერთის მფლობელი გახლავთ.



AFP დელ მარიდან

AFP პეკინიდან

ანარეკლამა

მადრიდის „რეალი“ ჩინთა დედაქალაქ პეკინში ჩასულა ამხანაგურად საბურთაოდ და თავადაც ხედავთ და ხვდებით, რა რეკლამიანობა ატყდა იქ.

AFP ოვალიდან

დარტანიანის მხარეში

ტურ დე ფრანსის ველოქარავანი ეს-ესაა, გასცდა გასკონიის მხარის უდიდეს ქალაქ პოს და რეველისკენ გაეშურა. ამ მხარეებში იზრდებოდა ალექსანდრ დიუმას რეალურ-მითიური შევალიე დარტანიანი, ოთხასი წლის წინ, აი, ამ თავას ჭაშდა მისი ბაიისფერი ცხენი. ხოლო მეორე ფოტოზე მშვიდობიან გასკონელებს ვხედავთ სუფრის წინ. ეს ალბათ მათთვისაა სუფრა კოკა-კოლა, პურის პატონი და ჩიფსეული. ჩვენკენ რომ ჩამოიარეს ტურმა, აბა, აქ ნახეთ გზებზე გადაფენილი სუფრები.



AFP რეველიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორრეიშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვანო ახალაძე, ლევან კვლაურაძე, ოთარ ძველი, კვლიძე, ირაკლი ჭერქეზია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად ზოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ჭინჭლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პორტუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge